

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია



ცამების, არაპუმანური, სასტიკი ან პატივისა  
და ღირსების შემთხვევაში მოპყრობის ან დასჯის  
ცინააღმდეგ პრძოლა საქართველოში

არსებული პროგლომები და გამოცვებები

თბილისი  
2010

ავტორი: გიორგი გოცილიძე

რედაქტორი: სათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი: თამარ ხიდაშვილი



აიწყო და დაკაბადონდა  
საქართველოს ახალგაზრდა  
იურისტთა ასოციაციაში.  
კანიძის ქ. 15 თბილისი 0102 საქართველო  
(+995 32) 95 23 53, 93 61 01  
ტირაჟი 200 ცალი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით,  
ასოციაციის წერილობითი წებართვის გარეშე

# ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შესავალი .....	5
2. თამაშის, არაპუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემსრულებელი მოპყრობის ან დასჯის ზოგადი მდგრადარაობა საქართველოში .....	5
2.1 არასათანადო მოპყრობის დეფინიცია საქართველოს კანონმდებლობაში .....	5
2.2. წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოძიების ეფექტურობა .....	7
2.3. წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმი .....	11
3. თამაშის და არასათანადო მოპყრობის ფაქტები და ცულოვანი ტოლერაციონის ეფექტურობა .....	12
3.1. წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტები .....	12
3.2. ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის ეფექტურობა .....	26
3.3. ძალის გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევები .....	27
4. თავისუფლებაშეზღუდულ პირთა მდგრადარაობა .....	28
4.1. მდგომარეობა სასჯელალსრულების დაწესებულებებში .....	28
4.2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორები .....	38
4.3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ჰაუპტვახტებში დაკავებულთა მოთავსების აღრიცხვის დახვეწა და ელექტრონული ბაზის შექმნა .....	40
4.4. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება .....	40
5. დასკვნა .....	42



## 1. გესავალი

წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა საერთაშორისო საზოგადოებისა და ორგანიზაციების მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. წამების აბსოლუტური აკრძალვა განმტკიცებულია ისეთი ძირითადი საერთაშორისო აქტებით, როგორებიცაა:

- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (მე-5 მუხლი);
  - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (მე-3 მუხლი);
  - სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (მე-7 მუხლი);
  - წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის საწინააღმდეგო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1984 წლის კონვენცია;
  - წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის აკრძალვის 1987 წლის ევროპული კონვენცია.

წამების და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა ერთ-ერთია მცირერიცხოვან აბსოლუტურ უფლებათა-გან, რაც იმას გულისხმობს, რომ არც ერთ შემთხვევაში, არანაირი გარემოებისა და ვითარების პირობებში არ არის დაშვებული ადამიანის წამება ან არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა.

ନାମେବିଳିର ସାନିନାଲମ୍ଫେଗ୍ରୋ ଗ୍ରେଟରଟିଆନ୍‌ପ୍ଲାଣ୍ଟିକ୍ ଏର୍ପାର୍କିସ ଓରଗାନିଶାଫ୍ରୋଇସ ପ୍ରକଳ୍ପରେ ମେ-2 ମୁଖ୍ୟମାତ୍ରାଙ୍କ ଦେଇଛନ୍ତି।

„არანაირი სახის გამონაკლისი გარემოებები, თუნდაც ეს იყოს საომარი მდგომარეობა ან ომის საშინ-როება, შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა ან ნებისმიერი სხვა სახის საგანგებო მდგომარეობა, არ შეიძლება მოყვანილი იქნეს წამების გასამართლებლად“.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წამების და არაადამიანური მოპყრობის ეროვნულ დონეზე რეგულირებას. მნიშვნელოვანია როგორც ამ სფეროში არსებული საკანონმდებლო ბაზა, ასევე უშუალოდ ის ღონისძიებები, რომლებსაც ქვეყნები ახორციელებენ წამებასთან საბრძოლველად. საქართველოს, როგორც ზემოთ აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულებების ხელშემკვრელ მხარეს, აღებული აქვს ვალდებულება, ეფექტური ღონისძიებები გაატაროს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამ ვალდებულების შესასრულებლად, 2008 წლის 12 ივნისს საქართველოს პრეზიდენტის №301 ბრძანებ-ულებით დამტკიცდა საქართველოში წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ლირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2008-2009 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს იმ ღონისძიებების ჩამონათვალს, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფო უწყებამ უნდა განახორციელოს ქვეყანაში წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ლირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ.

2009 წლის გაზაფხულზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საზოგადოებას წარმოუდგინა აღნიშნული სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში. შუალედური შეფასება ცხადყოფდა, რომ გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების ნაწილი ჯერ კიდევ შესასრულებელი რჩებოდა. ამჯერად საზოგადოებას წარმოვუდგენთ გეგმით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებების შესრულების ანგარიშს და მიმოვიზილავთ იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშე ქვეყანა ჯერ კიდევ დგას. ანგარიშში მოცემული მასალები და დასკვნები ეყრდნობა საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებს, სხვადასხვა უწყებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხვენის წესით მიღებულ ინფორმაციასა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმოებაში არსებული საქმეების მასალებს.

2. თავისებულის, არაუგვაცერი, სასტიკი ან პატივისა და ღირსების გემლახავი მოაყრობის ან დას-  
ვის ზოგადი მდგრადი საქართველოში

2.1 არასათანადო მოპყრობის დეფინიცია საქართველოს კანონმდებლობაში

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იკრძალება:

„წამება, ე.ი. პირის, მისი ახლო ნათესავისა ან მასზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირისათვის ისეთი პირობების შექმნა, ან ისეთი მობყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება, ანდა პირის დასვა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი, ან სავარაუდო ჩადენილი, ქმედებისათვის.“

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ასახული აღნიშნული დებულება თითქმის იმეორებს გაეროს 1975 წლის 9 დეკემბრის წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ლირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ საერთაშორისო კონვენციის პირველი მუხლის პირველ პუნქტს. თუმცა, ეს უკანასკნელი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავიბით, პირდაპირ მიუთითებს იმ სუბიექტზე,

რომელსაც ეკრძალება წამება: „... როცა ასეთ ტკივილს აყენებს სახელმწიფოს თანამდებობის პირი ან სხვა ოფიციალური პირი, ან მათი წაქეზებით, ნებართვით ან მდუმარე თანხმობით.“

ამგვარად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, გაეროს 1975 წლის კონვენციაში წამების აკრძალვა ხელშემკვერელი სახელმწიფოებით შემოიფარგლება. ეს მიდგომა ეფუძნება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში ფართოდ აღიარებულ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პრინციპს, რაც გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოა ერთადერთი სუბიექტი, რომელსაც ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება. მხოლოდ სახელმწიფო შეიძლება იყოს ადამიანის უფლების დამრღვევი. არსებობს სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფის ორი ასპექტი: სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულება.<sup>1</sup>

ნეგატიური ვალდებულება გულისხმობს სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის ვალდებულებას, არ დაარღვიოს ადამიანის უფლებები. რაც შეეხება პოზიტიურ ვალდებულებას, ეს უკანასკნელი სახელმწიფო-საგან მოითხოვს, გადადგას ნაბიჯები კონვენციის დარღვევის თავიდან ასაცილებლად, დაიცვას ადამიანები სხვა კერძო პირების ხელყოფისაგან, რაც გავლენას ახდენს ადამიანის ძირითადი უფლებებით სარგებლობაზე. ამგვარად, პოზიტიური ვალდებულების ძალით განსაზღვრულ შემთხვევაში, სახელმწიფოს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა არასახელმწიფო ორგანოების მხრიდან კონვენციის დარღვევის შემთხვევაში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილში საქმე გვაქვს შემთხვევასთან, როდესაც წამებას კერძო პირი სჩადის. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში, საქმეზე ასენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ, აღნიშნულია, რომ პოზიტიური ვალდებულების თანახმად, სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებებით, შესაძლებელი უნდა იყოს წამებაზე ჰასუხისმგებელი პირების იდენტიფიციება და დასჯა.<sup>2</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში 4 გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ განაცხადა, რომ კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოქმედება აკრძალული უნდა იყოს სისხლის სამართლის წესით, რაც ეფექტურად უზრუნველყოფს წამების აკრძალვის რეალიზაციას. ხოლო საქმეზე Z გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ განაცხადა, რომ სახელმწიფოს ვალდებულება ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როდესაც კერძო პირები მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ.<sup>3</sup>

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებს, მათი დისპოზიციის სუბიექტია საჯარო მოხელე ან მასთან გათანაბრებული ნებისმიერი პირი, ანდა პირი, რომელიც სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით არღვევს წამების აბსოლუტური აკრძალვის პრინციპს.

144<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილი შესაძლოა კოლიზიაში მოვიდეს სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლთან. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ჰასუხისმგებლობას მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ადამიანის იძულებისათვის განმარტების ან ჩვენების მისაცემად, ანდა ექსპერტისაგან დასკვნის მისაღებად. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია ჰასუხისმგებლობა ამ ქმედების ჩადენისათვის, სიცოცლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ძალადობის მუქარით.

სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>2</sup> მუხლი ითვალისწინებს სისხლისამართლებრივ ჰასუხისმგებლობას წამების მუქარისათვის, ხოლო 144<sup>3</sup> — დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობისათვის. გაეროსა და ევროპის საბჭოს ფარგლებში მიღებული საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებისაგან განსხვავებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>3</sup> მუხლი იძლევა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის დეფინიციას, რაც გულისხმობს „პირის დამცირებას ან იძულებას, არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემდახავ მდგომარეობაში ჩაყენებას“.

არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ამგვარი დეფინიცია მომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან:

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ აღნიშნა, რომ არაადამიანური მოპყრობა მოიცავს ინტენსიურ ფიზიკურ და სულიერ ტანჯვას.<sup>4</sup> საქმეში კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ არაადამიანური მოპყრობა მოიცავს ისეთ მოპყრობას, რომელიც გულისხმობს საათებში გაწელილ, წინასწარი განზი

<sup>1</sup> Philip Leach Senior Lecture in Law, London Metropolitan University Director, European Human Rights Advocacy Centre, Taking a Case to the European Court of Human Rights Second Edition OXFORD UNIVERSITY PRESS p.167

<sup>2</sup> Philip Leach Senior Lecture in Law, London Metropolitan University Director, European Human Rights Advocacy Centre, Taking a Case to the European Court of Human Rights Second Edition OXFORD UNIVERSITY PRESS p.202

<sup>3</sup> CRUELTY AN ANALYSIS OF ARTICLE 3 JOHN COOPER LLB. (HONS) Middle Temple Barrister of the English and Austrian Bar London Sweet and Maxwell p.33

<sup>4</sup> <http://cmiskp.echr.coe.int/tkp197/view.asp?item=1&portal=hbk&action=html&highlight=%THE%20UNITED%20KINGDOM%20|%203%20|%20Ireland&sessionid=43358795&skin=hudoc-en>.

რახვით ჩადენილ სხეულის დაზიანებას ან მოპყრობას, რაც იწვევს ფიზიკურ და სულიერ ტკივილს.<sup>5</sup> საქმეში ლაპიტა იტალიის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ეკროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ დამამცირებელი მოპყრობა მოიცავს მსხვერპლში შიშის შეგრძნების, ტკივილის, დამონება-დამორჩილების გრძნობის წარმოშობას.<sup>6</sup> არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა არ უნდა აღნევდეს სიმკაცრის იმ დონეს, რომ იგი მიჩნეული იყოს წამებად. ამავე დროს, საკითხი იმის თაობაზე, იყო თუ არა მოპყრობის მიზანი მსხვერპლის დამცირება ან შეურაცხყოფა, დამამცირებელი მოპყრობის შემთხვევაში, მხედველობაში მიღება, მაგრამ ასეთი მიზნის არარსებობას არ შეუძლია გავლენა მოახდინოს ქმედების დამამცირებელ მოპყრობად კვალი-ფიკაციაზე.

## 2.2. წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოძიების ეფექტურობა

სახალხო დამცველის ანგარიშში გაანალიზებულია პროკურატურის საქმიანობა წამების, წამების მუქარასა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით და ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ 144<sup>1</sup> მუხლი უფრო ხშირად კოლიზიაში მოდის სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლითან. სახალხო დამცველის 2009 წლის პირველი წახევრის საპარლამენტო მოხსენებაში აღნიშნულია:

სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მიმართავენ მოქალაქები, რომლებიც მიუთითებენ მათ მიმართ საჯარო მოხელეთა მიერ განხორციელებულ სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup> (წამება) და 144<sup>2</sup> მუხლებით (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა) გათვალისწინებულ ქმედებაზე. ამ ვითარებაში, როგორც წესი, სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს პროკურატურას, დაინტენსიურად ფაქტებზე. პროკურატურა კი, ხშირ შემთხვევაში, გამოძიებას იწყებს არა ზემოხსენებული მუხლებით, არამედ უფრო მსუბუქად აკვალიფიცირებს საჯარო მოხელეთა ქმედებებს და გამოძიებას იწყებს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება).

სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი წანილი სასჯელის მაქსიმალური ზომის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით. ხოლო წამებასთან, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასთან ყველაზე ახლოს მდგომი დანაშაულის შემადგენლობა, 333-ე მუხლის მე-3 წანილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამსახურებრივი მდგომარეობის გადამეტება დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, მაქსიმალური სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ხუთიდან რვა წლამდე. ეს მაშინ, როდესაც 144<sup>1</sup> მუხლის მეორე წანილით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალურ ზომას წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთა ცხრიდან თხუთმეტ წლამდე, ხოლო 144<sup>2</sup> მუხლის მეორე წანილით გათვალისწინებული სანქცია ოთხიდან ექვს წლამდე მერყეობს.

ცხადია, როდესაც საჯარო მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნები შეიცავს ადამიანზე ინტენსიური ფიზიკური, ფსიქოლოგიური და მორალური ტანჯვის მიმყენებელი ქმედების ნიშნებს, ეს უკანასკნელი წინასწარი გამოძიების დაწყების მომენტისათვის ავტომატურად წამებად ვერ დაკვალიფიცირდება. კერძოდ, უნდა დადგინდეს, საჯარო მოხელის მხრიდან დაზარალებულისათვის მიყენებული ტანჯვა ხომ არ ხორციელდება ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მისაღებად, ანდა მიზანი ხომ არ არის დაზარალებულის დაშინება, მასზე იძულება ან დასჯა უშუალოდ ტანჯვის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის. აღნიშნული მიზნის დადგენა მტკიცებულებათა შეგროვების გზით წინასწარი გამოძიების საგანს წარმოადგენს და უნდა ვაცნობიერებდეთ იმასაც, რომ ამგვარი მიზანი ქმედების ჩადენის ან მისი გამოვლენის მომენტისათვის ყოველთვის მკაფიო ვერ იქნება. ამიტომ წინასწარი გამოძიების თავდაპირველ ეტაპზე შესაძლოა გამართლებულიც იყოს ქმედების კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით, თუმცა, საკმარისი მტკიცებულებების მოპოვების შემდეგ, როდესაც წინასწარი გამოძიება მოახერხებს საჯარო მოხელის მხრიდან აღამიანზე ფიზიკური და მორალური ტანჯვის გამომწვევი ქმედების მიზნის დადგენას, წინასწარი გამოძიების დღის წესრიგში უნდა დადგეს ქმედების 144<sup>1</sup> მუხლის მე-2 წანილით გადაკვალიფიცირების საკითხი. არ შეიძლება 333-ე მუხლის პირველი წანილი გახდეს წამების დანაშაულის მიმართ სახელმწიფოს ლმობიერი და ტოლერანტული დამოკიდებულების საფუძველი.

თუკი მიზანი წამების დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია, მას არ გააჩნია მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის სუბიექტური მხარის შემადგენლობისათვის. შესაბამისად, არაფერი უშლის ხელს იმას, რომ ობიექტურად, ძლიერი ფიზიკური ან მორალური ტკივილის გამომწვევი ქმედების ჩადენის შემთხვევაში, კვალიფიკაცია მოხდეს 144<sup>2</sup> მუხლით, აღნიშნული ქმედების თაობაზე ისეთი ცხობების მიღების მომენტიდან, რომლებიც წინასწარი გამოძიების დაწყების საფუძველია.

2010 წლის 25 იანვარს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საქართველოს უზენაესი სა-

<sup>5</sup> <http://cmiskp.echr.coe.int/tkp197/view.asp?item=1&portal=hbkm&action=html&highlight=POLAND%20%20>

3&sessionid=42698772&skin=hudoc-en.

<sup>6</sup> <http://cmiskp.echr.coe.int/tkp197/view.asp?item=1&portal=hbkm&action=html&highlight=ITALY%20%20>

3&sessionid=42604035&skin=hudoc-en.

სამართლოდან გამოითხოვა შემდეგი საჯარო ინფორმაცია: 2007 წლიდან განცხადების წარდგენის დღემდე (წლების მიხედვით) საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ სსკ-ს 144<sup>1</sup>-ე, 144<sup>2</sup>-ე და 144<sup>3</sup>-ე, 335-ე, 378-ე მუხლების მე-2 ნაწილის კვალიფიკაციით განხილული სისხლის სამართლის საქმეების შესახებ, კერძოდ:

1. ზემოაღნიშნული მუხლების კვალიფიკაციით, მოცემული პერიოდისათვის პირველი ინსტანციის სა-სამართლოებში:

- განხილული სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობა;
- პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც განიხილებოდა საქმე;
- მსჯავრდებულთა რაოდენობა;
- ინფორმაცია გამოყენებული სასჯელის ლონისძიებების შესახებ;
- რამდენი პირის მიმართ შეწყდა საქმე;
- გამართლებულთა რაოდენობა.

2. ზემოაღნიშნული მუხლების კვალიფიკაციით, მოცემული პერიოდისათვის სააპელაციო და საკასაციო (ცალ-ცალკე) ინსტანციის სასამართლოებში:

- განხილულ სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობა;
- პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც განიხილებოდა საქმე;
- რამდენ სისხლის სამართლის საქმეზე და რამდენი პირის მიმართ დარჩა უცვლელი პირველი ინ-სტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება;
- რამდენი პირის მიმართ იქნა გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი;
- პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართ შეწყდა საქმე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 9 თებერვლის საპასუხო წერილით, საქართველოს უზე-ნაესმა სასამართლომ მოგვაწოდა 2007-2009 წლებში საქართველოს საერთო სასამართლოს სამიერ ინსტან-ციის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup>, 144<sup>2</sup> და 335-ე მუხლებით განხილული საქმეების სტატისტიკა (მუხლების ამგვარი თანმიმდევრობით იხილეთ 1-3 ცხრილი).


2010 წლის 25 იანვარს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ განცხადებით მიმართა საქართ-ველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარ პროკურატურას, რომლითაც მოვითხოვეთ საჯარო ინფორმაცია 2007 წლიდან განცხადების გაგზავნის დღემდე საქართველოს მთავარი პროკურატურის წარმოებაში სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup>-ე, 144<sup>2</sup>-ე, 144<sup>3</sup>-ე, 335-ე მუხლების კვალიფიკაციით არსებული სისხლის სამართლის საქმეების შესახებ, კერძოდ:

- სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების თარიღი;
- სისხლის სამართლის საქმის ნომერი;
- სისხლის სამართლის საქმის კვალიფიკაცია;
- ეჭვმიტანილის/ბრალდებულის/განსასჯელის/მსჯავრდებულის რაოდენობა;
- გამოძიების შედეგი ან რა ეტაპზეა იგი;
- სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში, შეწყვეტის და შეჩერების საფუძვლები.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის №გ 17.02.2010/27 წერილით გვეცნობა 2007-2009 წლებში სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup>-ე, 144<sup>2</sup>-ე, 335-ე მუხლებით წინასწარი გამოძიების დაწყების, წინასწარი გამოძიების შეწყვეტის, ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემული პირებისა და გამამტყუნებელი განაჩენების სტატისტიკა (იხ. ცხრილი № 4-6).


### ცხრილი №1

სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup> მუხლით (წამება) განხილული საქმეების სტატისტიკა წლების მიხედვით




### ცხრილი №2

სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>2</sup> მუხლით (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა) განხილული საქმეების სტატისტიკა წლების მიხედვით




### ცხრილი №3


სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლით (განმარტებისა და ჩვენების მიცემის იძულება) განხილული საქმეების სტატისტიკა წლების მიხედვით




**ცხრილი 4**  
სსკ-144<sup>1</sup> მუხლით (წამება) წარმოებული სისხლისამართლებრივი დევნის შედეგების სტატისტიკა წლების  
მიხედვით



**ცხრილი 5**  
სსკ-ის 144<sup>2</sup> მუხლით (არაადამიანური და დამაცირებელი მოპყრობა) წარმოებული სისხლისამართლებრივი  
დევნის სტატისტიკა წლების მიხედვით<sup>7</sup>



**ცხრილი 6**  
სსკ-ს 335-ე მუხლით (განმარტებისა და ჩვენების მიცემის იძულება) წარმოებული სისხლისამართლებრივი  
დევნის სტატისტიკა<sup>8</sup>



<sup>7</sup> 2007 წელს სსკ-ს 144<sup>3</sup> მუხლით სისხლისამართლებრივ დევნისათან დაკავშირებით არანაირ მოქმედებას ადგილი არ ჰქონია  
<sup>8</sup> გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 2007 წელს, ხოლო გამოძიების დაწყებისა და შეწყვეტის მაჩვენებლები ეხება 2009 წელს.

საკის 144<sup>1</sup> (წამება) მუხლით დამდგარი გამამტყუნებელი განაჩენების სტატისტიკის სიზუსტე და, შესაბამისად, სანდობა ეჭვქვეშ დგება, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს და საქართველოს მთავარი პროკურატურის მონაცემებს შორის აშკარა შეუსაბამობაა. თუკი მთავარი პროკურატურის წერილში აღნიშნულია, რომ 2007 წლისათვის 144<sup>1</sup> მუხლით გამამტყუნებელი განაჩენი დადგა შვიდი პირის მიმართ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინფორმაციით, პირველი ინსტანციის სასამართლომ 2007 წელს 2 პირს დააკისრა თავისუფლების აღვეთა, ხოლო ერთს – პირობითი მსჯავრი. სააპელაციო სასამართლომ ერთი პირის მიმართ პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი განაჩენი უცვლელად დატოვა.

### 2.3. წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმი

2009 წლის 16 ივლისს ცვლილებები შევიდა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, რასაც დაემატა 3<sup>1</sup> მუხლი, რომლითაც სახალხო დამცველი ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციას.

აღნიშნული ცვლილების ერთადერთ რეალურ საკანონმდებლო ნოვაციას წარმოადგენს ის, რომ „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ისეთი უფლებამოსილებები, როგორიცაა დაკავების, წინასწარი პატიმრობის და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შემოწმების უფლება, გავრცელდა წამების პრევენციის სპეციალური ჯგუფის წევრებზეც. საკანონმდებლო ცვლილებამდე ამგვარი უფლებამოსილება გააჩნდა მხოლოდ სახალხო დამცველს, მის მოადგილეს და აპარატის თანამშრომლებს, სახალხო დამცველის რწმუნებით. ამჟამად, სახალხო დამცველი ამგვარ რწმუნებას გასცემს პრევენციის ჯგუფის წევრებზეც. „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19<sup>1</sup> მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, სპეციალური ჯგუფის წევრი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს სათანადო განათლება, პროფესიული გამოცდილება, საქმიანი და მორალური თვისებები და შეუძლია შეასრულოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციები.

აღნიშნული ჯგუფის წევრები არიან სათანადო დარგის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ექსპერტები, რომლებიც შესაძლოა არ იყვნენ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ჯგუფი ამჟამად სრულად არის დაკომპლექტებული.

სახალხო დამცველის 2009 წლის პირველი ნახევრის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „პრევენციის ჯგუფი სახალხო დამცველის აპარატში ჩამოყალიბდა ცალკე დეპარტამენტის სახით. დაწესებულებათა რაოდენობის და გამოსაკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია საჭირო გახდეს მოწვეული ექსპერტების ჩართვა, რომლებთანაც ხელშეკრულების გაფორმება, სახალხო დამცველის გადაწყვეტილებით, მონიტორინგის ყოველი კონკრეტული მისის დროს მოხდება.“

საქართველოში წამების, არაპუმანური, სასტიკი ან პატივისა და ლირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2008-2009 წლების სამოქმედო ანგარიშში, „სახალხო დამცველი შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2009 წლის 16 ივლისს შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით, მითითებულია კანონში გათვალისწინებულ ისეთ კომპონენტებზე, როგორიცაა:

- ადეკვატური მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა;
- თავისუფლების შეზღუდვის ადგილების მონიტორინგი, პირადი საუბარი თავისუფლებაშეზღუდულ პირებთან და დოკუმენტაციის შემოწმება;
- რიგი უწყებებისთვის რეკომენდაციით მიმართვის, მათ შორის, პარლამენტის წინაშე მოხსენების წარდგენის უფლება.

უნდა აღინიშნოს, რომ „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ადეკვატური მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის თაობაზე ჩანაწერის გაკეთება ჯერ კიდევ არ წარმოადგენს აღნიშნული მიზნის მიღწევის შესაძლებლობას, თუ ამ უკანასკნელმა სათანადო რეალიზება არ ჰქოვა „ბიუჯეტის შესახებ“ კანონში. რაც შეეხება დანარჩენ ორ კომპონენტს, აღნიშნული არ შეიძლება მივიჩნიოთ წინსვლის ინდიკატორად, იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ თავისუფლების შეზღუდვის ადგილების მონიტორინგის, თავისუფლებაშეზღუდულ პირებთან პირადი საუბრის და დოკუმენტაციის შემოწმების უფლება სახალხო დამცველს, მის მოადგილესა და აპარატის თანამშრომელს აქვთ აღნიშნული ინსტიტუტის ამოქმედების დღიდან. 2009 წლის 16 ივლისიდან პრევენციის ჯგუფის წევრებით უბრალოდ გაფართოვდა იმ პირთა წრე, რომელსაც აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა მიეცა. მესამე კომპონენტი — რიგი უწყებებისათვის რეკომენდაციით მიმართვის, მათ შორის, პარლამენტის წინაშე მოხსენების წარდგენის უფლება — საერთოდ არავითარ ცვლილებაზე არ მიუთითებს, ვინაიდან ეს უფლებამოსილება საქართველოში სახალხო დამცველის ინსტიტუტს გააჩნდა და 2009 წლის 16 ივლისის ცვლილებას მასზე გავლენა არ მოუხდენია.

ის რეალური გამოწვევები, რაც სახალხო დამცველის აპარატსა და პრევენციის ეროვნულ მექანიზმს შეიძლება შექმნას წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის მონიტორინგის პროცესში, კვლავაც ძალაშია და მოითხოვს სათანადო რეგულირებას.

პირველ სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს სახალხო დამცველის რწმუნებით აღჭურვილი პირის მიერ წამების ფაქტის დოკუმენტაციასა და ფიქსაციასთან დაკავშირებული შეზღუდვა. ორგანული კანონით, პრევენციის ჯგუფის წევრებს არა აქვთ სასჯელადსრულების დაწესებულების ფოტოაპარატის და ვიდეოკამერის შეტანის უფლება, რაც შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფიქსაციის შესაძლებლობას ქმნის. სახალხო დამცველის 2009 წლის პირველი წახევრის ანგარიშში საუბარია 2009 წლის 7 ივნისს ქუთაისში, №2 სასჯელადსრულების დანესებულებაში მომხდარი სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე. სახალხო დამცველის რწმუნებულის მტკიცებით, 12 არასრულწლოვან პატიმარს აღნიშნებოდა სხვადასხვა სახისა და ზომის დაზიანებები. ანგარიშში, ასევე აღნიშნულია, რომ ზედაპირული სამედიცინო შემოწმების შედეგად, არ იქნა დაფიქსირებული პატიმრების დაზიანებები.

ეს გარემოება ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ჯგუფი ხშირად ერთადერთია, რომელიც ახდენს წამების სავარაუდო ფაქტების ფიქსაციას და დოკუმენტაციას. ამ დროს მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, სავარაუდო წამების შესახებ ცნობები უფრო დამაჯერებელი და სარწმუნო მტკიცებულებებით დაასაბუთონ. ამისათვის აუცილებელია, პრევენციის ჯგუფის წევრებს კანონმდებლობით ნება დაერთოთ დახურულ ინსტანციებში, პირველ რიგში კი, სასჯელადსრულების დანესებულებაში, იქონიონ ფოტო და ვიდეო აპარატურა, რაც პრევენციის ჯგუფს დაეხმარება დაკისრებული მოვალეობის ეფექტურ განხორციელებაში. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2009 წლის ადამიანის უფლებათა მდგომარეობის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სახალხო დამცველის აპარატი კვლავ მოითხოვს საკანონმდებლო ცვლილებას, რომლითაც მოიპოვებს ნებართვას, ჩანარის საშუალებით მოახდინოს ისეთი მტკიცებულებების დოკუმენტირება, როგორიცაა პატიმართა დაზიანებები.

მეორე, გამოწვევა მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად შეძლებს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი, ადამიანური რესურსების სიმწირიდან გამომდინარე, წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციასთან დაკავშირებულ მრავალმხრივ პრობლემასთან გამკლავებას. შეუძლებელია პრევენციის ჯგუფმა სრულად დაფაროს საქართველოში არსებული ყველა დახურული ტიპის ინსტიტუცია, რაც პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტურობაზე არსებით გავლენას მოახდენს. 2009 წლის ადამიანის უფლებათა მდგომარეობის თაობაზე აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში მითითებულია, რომ 2008 წლის ნოემბრამდე რვა სასჯელადსრულების დანესებულებაში პატიმრობის პირობების მონიტორინგის, რეკომენდაციის შემუშავებისა და კვარტალური ანგარიშების წარდგენის მიზნით, ფუნქციონირებდა ადგილობრივი მონიტორინგის საბჭოები. საბჭოს წევრები სამუშაო გამოცდილების, კვალიფიკაციის და რეპუტაციის გათვალისწინებით ინიშნებოდნენ იუსტიციის მინისტრის მიერ. საბჭოებს უფლებამოსილება ამოენტურათ 2008 წლის ნოემბრში. უფლებადამცველი ორგანიზაციების არაერთგზის მოთხოვნის მოუხედავად, მონიტორინგის საბჭოებს არ განუახლებიათ მუშაობა. ახალი პრევენციის ეროვნულ მექანიზმი შეიქმნა სახალხო დამცველის აპარატში, რამაც საბჭოები უნდა ჩაანაცვლოს.

სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში ასევე აღნიშნული იყო, რომ საბჭოების დამოუკიდებლობის მიმართ არსებობდა კითხვები. ეს ძირითადად განპირობებული იყო მონიტორინგის საზოგადოებრივი საბჭოს იუსტიციის სამინისტროზე, ანუ მონიტორინგის ობიექტზე დამოკიდებულებით. სახალხო დამცველის პრევენციის ჯგუფის პირობებში არსებობს დამოუკიდებლობისა და მიუკერძობების გარანტიები, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში მოხდეს მონიტორინგის საზოგადოებრივი საბჭოების აღდგენა, რაც გარკვეული და დამამცირებელი მოპყრობის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტს სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენასა და მათზე ოპერატორულ რეაგირებაში.

### 3. ნამების და არასათანადო მოპყრობის ფაქტები

#### 3.1. წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტები

სახალხო დამცველის 2009 წლის პირველი წახევრის საპარლამენტო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ქვეყანაში აშკარად იკლო წამების ფაქტებმა და ის აღარ წარმოადგენს საზოგადოების სისტემურ პრობლემას. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ ინდივიდუალურ შემთხვევებს კვლავ აქვს ადგილი, რაც შესაბამისი ორგანოების მხრიდან დროულ და ადეკვატურ რეაგირებას საჭიროებს.<sup>10</sup>

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ კონსტიტუცია და კანონმდებლობა კრძალავს წამების, სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის პატიმრობას. მიუხედავად ამისა, არსებობს

<sup>9</sup> <http://www.state.gov/g/drl/rls/hrrpt/2009/eur/136032.htm>

<sup>10</sup> სახალხო დამცველის 2009 წლის პირველი წახევრის საპარლამენტო მოხსენება, 120 გვ.

ცნობები იმის თაობაზე, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის პირობებში სახელმწიფო მოხელეები ამგვარ ქმედებას მიმართავენ.

საერთაშორისო უფლებადამცველმა არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰუმან რაიტს ვოთჩმა“ 2010 წლის 20 იანვარს გამოაქვეყნა მსოფლიო ანგარიში 2010, სადაც საქართველოსთან დაკავშირებით აღნიშნულია:

„ოპოზიციის ათი ათასობით მხარდამჭერს აპრილიდან ივნისის პირველ რიცხვამდე გადაკეტილი ჰქონდა თბილისის ქუჩები სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება შემწყნა-არებლობას იჩინდა გაჭიანურებული საპროტესტო გამოსვლების მიმართ, პოლიციამ გადამეტებული ძალა გამოიყენა დემონსტრაციული მათგანმა მოგვიანებით განცხადება გააკეთა დაკავების დროს ცუდად მოპყრობის შესახებ. გარდა ამისა, აპრილსა და მაისის დასაწყისში გახშირებული თავდასხმების დროს სამოქალაქო ტანსაცმელში ჩატარდა, ამოუცნობი, ხშირად რეზინის ხელჯონით შეიარაღებული და ნიღბიანი ადამიანები სცემდნენ და ემუქრებოდნენ ცალკეულ დემონსტრაციებს, რომლებიც ლამით საპროტესტო აქციას ტოვებდნენ. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა და სახალხო დამცველმა ათეულობით მსგავსი ინციდენტის შესახებ გააკეთეს განცხადება. ხელისუფლებამ ორმოცდაათზე მეტი სისხლის სამართლის საქმე აღძრა ამ ძალადობის ფაქტებზე, მაგრამ მათ შედეგი არ მოჰყოლია, რაც ხელისუფლების მხრიდან ამ თავდასხმის ჩუქმისარდაჭერასა ან დახმარებაზე მიანიშნებს.“<sup>11</sup>

### ა) არასათანადო მოპყრობა ქუთაისის №2 სასჯელალსრულების დაწესებულებაში

2009 წლის 7 ივლისს სასჯელალსრულების დეპარტამენტის იფიციალურ ვებ-გვერდზე ([www.dop.gov.ge](http://www.dop.gov.ge)) გავრცელდა შემდეგი ინფორმაცია: „სასჯელალსრულების დეპარტამენტის ქუთაისის №2 საპყრობილები სა-სამართლოს განჩინებით უკმაყოფილო 7-მა არასრულნლოვანმა მსჯავრდებულმა დაარბია საკანი და დაამტკრია ინვენტარი. ინციდენტის დროს არავინ დაშავებულა. სახელმწიფო ქონების დაზიანების ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება. მომხდარში მონაწილე შვიდივე მსჯავრდებული, სასჯელალსრულების დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, გადაყვანილია ქალთა და არასრულნლოვანთა საპყრობილის, მკაცრი და საერთო რეჟიმის დაწესებულებაში.“

სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს ინციდენტში მონაწილე 7 არასრულნლოვანს. მათ განაცხადეს შემდეგი:

2009 წლის 6 ივლისს დაახლოებით 9 საათზე ქუთაისის №2 საპყრობილის კონტროლიორმა №102 საკანში აღმოაჩინა, რომ გისლებიდან მოცილებული იყო რკინის დეტალები, რომელზეც ადრე ტელევიზორი იყო მოთავსებული. კონტროლიორმა საკანში სარეზიმო განყოფილების ხუთი თანამშრომელი მიიყვანა, რომლებმაც შემოწმების ჩატარების მიუხედავად, ეს დეტალები ვერ აღმოაჩინეს. 20 წუთის გასვლის შემდეგ სარეზიმო განყოფილების თანამშრომლები №102 საკანში საპყრობილის სხვა თანამშრომლებთან ერთად დაბრუნდნენ და საკანში შესახლებული პირები კორპუსიდან გაიყვანეს. კარანტინის კორპუსთან ერთ-ერთმა არასრულნლოვანმა პატიმარმა შენიშნა, რომ სხვა პატიმარს ხელები ზურგზე ჰქონდა დაწყობილი და ამიტომ გაეხუმრა, რასაც დაწესებულების თანამშრომლის მიერ არასრულნლოვანი პატიმრისათვის სახეში ხელის გარტყმა მოჰყვა. ერთმა თანამშრომელმა არასრულნლოვანი პატიმარი ხელით დაიჭირა, ხოლო მეორე თანამშრომელი მას ურტყყამდა. მეორე პატიმარი კედელთან დაყენეს და ყელში ხელი წაუჭირეს.

პატიმრების ცემას №102 საკნის სხვა არასრულნლოვნების პროტესტი მოჰყვა. მათ საპყრობილის დირექტორთან მოითხოვეს შესვებრა, რაზეც უარი მიიღეს. არასრულნლოვანები საკანში დააბრუნეს, ამის შემდეგ, პატიმრებმა დაიწყეს პროტესტის გამოხატვა: ისინი საკანში ხმაურობდნენ და კარებზე აბრახუნებდნენ. №102 საკნის პატიმრებს №101 საკანში შესახლებული პირებიც შეუერთდნენ. დაწესებულების დირექტორი შეხვდა პატიმრებს, რის შემდეგაც პროტესტი დასრულდა.

2009 წლის 7 ივლისს ლამის 2 საათზე №2 საპყრობილები შევიდა სპეცდანიშნულების რაზმი. მათ პატიმრებს №102 საკნის დატოვება მოსთხოვეს. პასუხად ზოგიერთმა პატიმარმა თვითდაზიანება მიიღო. სპეცდანიშნულების რაზმა პატიმრები საპყრობილის დერეფანში გაიყვანა და კედელთან დააყენა. სპეცდანიშნულების რაზმი არასრულნლოვან პატიმრებს ხელს, სველ ცხვირსახოცს და ბოქლომს ურტყყამდა. არასრულნლოვან პატიმრებს აიძულებდნენ თავზე პოლიციის ქუდის დაფარებას, სამხედრო წესით სამხედრო შესტიკულაციას და შემდეგი სიტყვების წარმოთქმას: „ვემსახურები საქართველოს.“ სპეცდანიშნულების რაზმი განსაკუთრებით №102 საკანში შესახლებულ პატიმრებს გაუსწორდა. ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების დროს გონება დაკარგა იმ არასრულნლოვანმა პატიმარმა, რომლის ხუმრობამაც განაპირობა დაპირისპირება საპყრობილის ადმინისტრაციასა და პატიმრებს შორის. პატიმრები 5 საათის განმავლობაში იყვნენ გაუნდრევლად კედელზე ხელით მიყრდნობილნი. განძრევის შემთხვევაში, მათ თავზე დაშარდვით და ე.წ. „ქათმების საკანში“ მოთავსებით ემუქრებოდნენ. პატიმრებს ამის შემდეგ ორჯერ მოუხდათ ე.წ. „კორიდორში“ გავლა.

<sup>11</sup> <http://www.hrw.org/en/node/87536>

მიუხედავად იმისა, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტი უარყოფდა ინციდენტის შედეგად ვინმეს ფიზიკური დაზიანების ფაქტს, სახალხო დამცველის რწმუნებულებმა 12 პატიმრის ვიზუალური დათვალიერების შედეგად, დააფიქსირეს ჯანმრთელობისათვის მიყენებული სხვადასხვა ფიზიკური დაზიანება. სახალხო დამცველის რწმუნებულთა განმარტებით, სხეულზე დაზიანებები ასევე აღენიშნებოდა №2 საპყრობილის ორ ინსპექტორსაც.

პატიმრებმა სახალხო დამცველის რწმუნებულისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში აღნიშნეს, რომ მათ ჩაუტარდათ ზედაპირული შემონმება, თუმცა, სხეულზე არსებული დაზიანებები არ იქნა დაფიქსირებული. ვიზუალური დათვალიერების ჩამტარებელმა პირმა მხოლოდ მათი პირადი მონაცემები ჩაინიშნა. არასრულწლოვნები აცხადებენ, რომ მათ არ ჰქონიათ კავშირი სასჯელაღსრულების დაწესებულების ექიმთან.

2009 წლის 15 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული მასალები, წინასწარი გამოძიების დაწყების მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარ პროკურატურას გადაუგზავნა. 2009 წლის 3 სექტემბერს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსის საპასუხო წერილში აღნიშნულია:

2009 წლის 06 ივნისს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთის სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №073090326 საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის პირველი (წინასწარი პატიმრობის ან სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ დაწესებულების საქმიანობისათვის სხვაგვარად ხელის შეშლა ანდა ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია) და მესამე (წინასწარი პატიმრობის ან სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციაზე თავდასხმა, ანდა ამავე მიზნით დანამაულებრივი დაჯგუფების შექმნა ან ასეთ დაჯგუფებაში აქტიური მონაწილეობა) ნაწილებით და 187-ე მუხლის პირველი ნაწილით (სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. 2009 წლის 04 აგვისტოს აღნიშნული საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო სისხლის სამართლის №073090386 საქმე, სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) პირველი ნაწილით გათვალისწინებული ნიშნებით. სახალხო დამცველის წერილში მითითებულ თერთმეტივე პატიმარს ჩაუტარდა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.

### ბ) ნუგზარ ოთანაძის საქმე

2009 წლის 13 მაისს სახალხო დამცველის რწმუნებულმა ახსნა-განმარტება ჩამოართვა ნუგზარ ოთანაძეს. მისი განმარტებით, 2009 წლის 12 აპრილს ღამის 1 საათზე, როდესაც საკუთარ სახლში იმყოფებოდა, უცნობმა პირებმა კარის გალება მოსთხოვეს. ნუგზარ ოთანაძემ უცნობებს უთხრა, რომ დილით მისულიყვნენ. ცოტა ხნის შემდეგ მათ შეანგრიეს ბინის კარი და ნუგზარ ოთანაძეს უბრძანეს, ჩაეცვა და მათ გაპყოლოდა. ნუგზარ ოთანაძე მოთხოვნას დაემორჩილა.

ოთანაძე მიიყვანეს საბურთალოს რაიონში განთავსებულ შსს-ს ე.ნ. „მოდულის“ შენობაში, სადაც მას ჰქითხეს, თუ რა დავალება მიიღო თავისი სიძის, მალხაზ თელორაძისაგან, დაკავებულის ძმასთან, კობა ოთანაძესთან დაკავშირებით, რომელიც იმ მომენტისათვის იძებნებოდა. ნუგზარ ოთანაძემ უპასუხა, რომ მალხაზ თევდორაძისაგან არავითარი დავალება არ მიუღია. ამის შემდეგ შსს-ს თანამშრომლებმა ნუგზარ ოთანაძე რეზინის ხელკეტებით სცემეს. ცემის დროს ნუგზარ ოთანაძე პერიოდულად გაჰყავდათ ოთახიდან და ნყალში თავს აყოფინებდნენ. ცემის დროს ზემოხსენებული კითხვა მეორდებოდა.

სახალხო დამცველის რწმუნებულები, რომელმაც ნუგზარ ოთანაძე შსს-ს თბილისის №1 დროებითი მოთავსების იზოლაციორში მოინახულეს, განმარტავენ, რომ ნუგზარ ოთანაძეს მარცხენა თვალის წარპი ჰქონდა დასიებული, აღენიშნებოდა სისხლნაუღენთები, მარჯვენა ხელი, ბეჭიდან მოყოლებული, დასიებული ჰქონდა. ზურგზე და მარჯვენა მხარეს მუხლამდე აღენიშნებოდა მრავლობითი სისხლნაუღენთები

ნუგზარ ოთანაძეს გამოკვლევა ჩაუტარდა წამების, ძალადობის და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მსხვერპლთა ფსიქო-რეაბილიტაციის ცენტრ „ემპათიას“ მიერ, რომლის სპეციალისტებმა ნუგზარ ოთანაძეს დაუსვეს შემდეგი წინასწარი დიაგნოზი:

„ქალა ტვინის დახურული ტრავმა, სხეულის მრავლობითი დაუეუილობა, მრავლობითი კანქვეშა სისხლნაუღენთები, ნაჭდევი მარცხენა ზემო ქუთუთოს არეში, მარჯვენა იდაყვის სახსრის რბილი ქსოვილების დაუჟულობა.“

2009 წლის 13 მაისს, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული მასალები გადაუგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურას. 2009 წლის 25 ივნისს სახალხო დამცველის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის №გ22.06.2009/54 წერილით ეცნობა, რომ

სასჯელალსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის №8 საპყრობილის პატიმარ წუგზარ ოთანაძისათვის დაკავშირებისას ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტთან დაკავშირებით 2009 წლის 22 მაისს საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №081090103 საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

### გ) ნიკოლოზ ბიბილაშვილის საქმე

2009 წლის 11 მაისს სახალხო დამცველის რწმუნებულები თბილისის №8 საპყრობილები შეხვდნენ მუხროვანის სამხედრო ბაზაზე მომზდარ ფაქტთან დაკავშირებით დაპატიმრებულ ნიკოლოზ ბიბილაშვილს და ჩამოართვეს მას ახსნა-განმარტება. ნიკოლოზ ბიბილაშვილის განმარტებით, 2009 წლის 4 მაისს დაურეკეს და სთხოვეს მუხროვანის სამხედრო ბაზაზე მისვლა. ნიკოლოზ ბიბილაშვილი მუხროვანში გაემართა თავის მეგობართან ზაზა მურჯიკელთან და პიძასთან, ზურაბ მიქაძესთან ერთად. ზურაბ მიქაძემ სამხედრო ბაზის ხელმძღვანელისაგან შეიტყო, რომ სამხედროებმა ხელისუფლებას დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს. ზურაბ მიქაძე გააფრთხილეს, დაეტოვებინა სამხედრო ბაზის ტერიტორია. ნიკოლოზ ბიბილაშვილი ოთხ პირთან ერთად ტყისკენ გაემართა, სადაც დაკავეს და გადაიყვანეს შეს-ს „მოდულის“ შენობაში. 2009 წლის 5 მაისის 17:00 საათიდან 06 მაისის 06:00 საათამდე მიმდინარეობდა ნიკოლოზ ბიბილაშვილის დაკითხვა. ამ დროის განმავლობაში, ნიკოლოზ ბიბილაშვილს აყენებდნენ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას.

2009 წლის 13 მაისის სახალხო დამცველის №857/03-3 წერილში აღნიშნულია, რომ ნიკოლოზ ბიბილაშვილს აღენიშნებოდა ჰერატიული არეალი, ასევე უჩიოდა ტკივილებს წელისა და თავის არეში, რაზედაც სახალხო დამცველის რწმუნებულებმა შეადგინეს ოქმი.

2009 წლის 13 მაისს სახალხო დამცველმა ნიკოლოზ ბიბილაშვილთან დაკავშირებით მის ხელთ არსებული მტკიცებულებები გადააგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარ პროკურატურაში, წინასწარი გამოძიების დაწყების მიზნით.

მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსის №გ 18.062009/12 საპასუხო წერილში აღნიშნულია:

„სასჯელალსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის №8 საპყრობილის პატიმარ წიკოლოზ ბიბილაშვილისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტთან დაკავშირებით, 2009 წლის 28 მაისს საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №081090105 საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

### დ) სანდრო ვეშაგურის და აკაკი აფციაურის საქმე

2009 წლის 11 მაისს სანდრო ვეშაგურმა და აკაკი აფციაურმა ახსნა-განმარტება მისცეს სახალხო დამცველის რწმუნებულებს. ახსნა-განმარტებაში აღნიშნულია:

2009 წლის 5 მაისს სანდრო ვეშაგური და აკაკი აფციაური იმყოფებოდნენ საბრძოლო რეინჯერთა ბატალიონის ნაწილში (ორთაჭალა, თბილისი). ამ დროს ბატალიონში მყოფ პირებს იარაღის აღება და შემდგომი მითითებების შესაბამისად მოქმედება უბრძანეს. ბრძანების მიღების შემდეგ იარაღი ჩააბარეს. ბატალიონის მეთაური ლევან ამირიძე ტელეფონით დაუკავშირდა ბატალიონის რიგით ჯღუნიაშვილს და მუხროვანის ბაზაზე მისვლა უბრძანა. სანდრო ვეშაგური, აკაკი აფციაური და კიდევ ხუთი ჯარისკაცი მივიდა მუხროვანის სამხედრო ბაზაზე. ლევან ამირიძემ უბრძანა მათ ყაზარმაში შესვლა და შემდგომი მითითებისათვის ლოდინი. დაახლოებით 30-40 წუთში ლევან ამირიძემ დარეკა რიგით ჯღუნიაშვილთან და რეინჯერებს მუხროვანის სამხედრო ბაზის დატოვება უბრძანა. 7 ჯარისკაცი: ვეშაგური, ჯღუნიაშვილი, მოსულიშვილი, ოდიკაძე, აფციაური, ოქრუაშვილი და ამირიძე ნავიდნენ სოფელ უჯარმაში. ვინაიდან თბილისისაკენ მიმავალი გზები გადაკეტილი იყო, ჯარისკაცები არ ელოდნენ საღამოს 6 საათამდე თბილისისაკენ გამგზავრებას, თუმცა ტრანსპორტი არც 18:00 საათის შემდეგ გამოჩნდა. გიორგი ამირიძე ტელეფონით დაუკავშირდა თავის ნათესავს და უჯარმაში თავისი კუთვნილი სამარშრუტო ტაქსის ჩაყვანა სთხოვა. სამარშრუტო ტაქსი სოფელ უჯარმაში დაახლოებით 19 საათსა და 30 წუთზე გამოჩნდა, თუმცა, იქიდან სპეცდანიშნულების რაზმის მებრძოლები გადმოვიდნენ. აკაკი აფციაურის განმარტებით, სპეცრაზმელებმა ჰაერში ცეცხლი გახსნეს. რეინჯერებს მათთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ამის მიუხედავად, სპეცრაზმელები ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ სამხედროებს. დაკავებული რეინჯერები თბილისში, „მოდულის“ შენობაში გადაიყვანეს.

2009 წლის 13 მაისის წამების, ძალადობისა და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მსხვერპლთა ფსიქორეაბილიტაციის ცენტრ „ემპათიას“ სამედიცინო მონიტორინგის ანგარიშიდან ირკვევა, რომ აკაკი აფციაურს დაუსვეს შემდეგი დიაგნოზი:

„მარჯვენა თვალის სკლერის ინიციაცია, ზედა მარჯვენა საჭრელი კბილის მოტეხილობა, ქვედა ყბის საჭრელი კბილის მორყევა, სხეულის მრავლობითი დაზიანება, ქალა-ტვინის დახურული ტრავმა”

იმავე ანგარიშიდან ირკვევა, რომ სანდრო ვეშაგურს დაუსვეს შემდეგი წინასწარი დიაგნოზი:

„კანქვეშა ჰემატომა კეფის მარჯვენა ნახევარში, სხეულის მრავლობითი დაუეუილობა, ნაჭდევი სისხლნა-ულენთები, ქალა-ტვინის დახურული ტრავმა, ვეგეტო-სისხლძარღვოვანი დისტონია.”

სანდრო ვეშაგურის და აკაკი აფციაურის განმარტებით, მათ აღნიშნული დაზიანებები მიიღეს დაკავების მომენტში.

2009 წლის 13 მაისს სახალხო დამცველმა სანდრო ვეშაგურისა და აკაკი აფციაურისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტთან დაკავშირებით თავის ხელთ არსებული მასალები გადაუგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარ პროკურატურას.

№დ23.06.2009/73 საპასუხო წერილით, საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველომ სახალხო დამცველს აცნობა, რომ სასჯელალსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის №8 საპყრობილის პატიმრების, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რეინჯერთა ბატალიონის წევრების სანდრო ვეშაგურისა და აკაკი აფციაურისათვის დაკავშირებისას ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტთან დაკავშირებით, 2009 წლის 19 მაისს საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №081090103 საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

## ე) გოჩა ეხვაიას საქმე

გოჩა ეხვაია მუშაობს გაღის რაიონის სოფელ ნაბაკევში სასწრაფო გამოძახების ექიმად. 2008 წლის 30 იანვარს გოჩა ეხვაია იმყოფებოდა ქალაქ ზუგდიდში, ჯანაშიას ქუჩა №5-ში მდებარე სახლში მეუღლესთან და დედას-თან ერთად. დაახლოებით 22 საათზე სახლში შევიდნენ პოლიციის თანამშრომლები და იყითხეს ვინმე ბადრი, რომელიც მათი განმარტებით, ჯანაშიას ქუჩა №5-ში მდებარე სახლში იმყოფებოდა. გოჩა ეხვაიამ უთხრა, რომ სახლში არავითარი ბადრი არ იმყოფებოდა. პოლიციამ გოჩა ეხვაიას საბუთები შეამოწმა და, დაკითხვის მიზნით, პოლიციის განყოფილებაში წაყოლა მოსთხოვა. გოჩა ეხვაია ნებაყოფლობით ჩაჯდა პოლიციის მანქანაში. გზად პოლიციელებმა გოჩა ეხვაიას სამსახურის შესახებ ჰქითხეს, როდესაც პოლიციელებმა პასუხი მიიღეს, გოჩა ეხვაიას სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ და მოღალატეს უწოდებდნენ. გოჩა ეხვაია მიიყვანეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს შენობაში, აიყვანეს მეორე სართულზე და შეიყვანეს ერთ-ერთი კაბინეტში, სადაც იმყოფებოდა ორი პირი. ერთს ეცვა უნიფორმა, მეორეს — შავი სამოქალაქო ტანსაცმელი. ამ უკანასკნელმა განუცხადა, რომ იყო სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილე მეგის ქარდაგა. მოგვიანებით, გოჩა ეხვაია დროებითი მოთავსების იზოლაციონში გადაიყვანეს. მეგის ქარდავამ გოჩა ეხვაიას უთხრა, რომ სანამ გალის საავადმყოფოს არ აუფეთქებდნენ, მანამდე გალელი ქართველები არ დატოვებდნენ აფხაზეთის ტერიტორიას. მოგვიანებით, ოთახში შემოვიდა ჭალარათმიანი მამაკაცი, რომელიც აღმოჩნდა სამეგრელო-ზემო სვანეთის შს სამმართველოს უფროსი თენგიზ გუნავა. ამ უკანასკნელმა გოჩა ეხვაიას ჰქითხა, გალის საავადმყოფოში გამტაცებლებს ხომ არ მიუყვანიათ დავით ნადარია, რაზეც უარყოფითი პასუხი მიიღო. გაბრაზებულმა თენგიზ გუნავამ ეხვაიას კალამი ესროლა და მოღალატე უწოდა. შემდგომ კი, იქ მყოფ პოლიციელებს გოჩა ეხვაიაზე მიუთითა – მოკალითო. ხუთი პოლიციელი მიუახლოვდა გოჩა ეხვაიას, სკამიდან გაღმოაგდეს, ფეხებით და ხელებით სცემდნენ. გოჩა ეხვაიამ გონება დაკარგა. როდესაც მოსულიერდა, გაიგონა, როგორ შევიდა ოთახში ერთ-ერთი პოლიციელი, რომელმაც თქვა, რომ გოჩა ეხვაიას მშობლები სამმართველოს შენობასთან იყვნენ მისული და შვილთან შეხვედრას ითხოვდნენ. თენგიზ გუნავამ პოლიციელებს განუცხადა, რომ წაეყვანათ გოჩა ეხვაია და ზღვაში გადაეგდოთ ისე, რომ კვალი არ დაეტოვებინათ. დაკავებული ჩასვეს მანქანაში, სადაც სამი პოლიციელი იმყოფებოდა. ისინი გოჩა ეხვაიას სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდნენ და სცემდნენ. მანქანა გაჩერდა ბოტანიკური ბალის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც გოჩა ეხვაია კვლავ სცემეს. ამის შემდეგ, მანქანა ზუგდიდის მიმართულებით დაბრუნდა. პოლიციელები ხშირად საუბრობდნენ მოპილური ტელეფონით და ახსენებდნენ კატერს, რომლითაც, მათი თქმით, გოჩა ეხვაია ზღვაში უნდა დაეხრიოთ. მანქანა ქალაქ ზუგდიდის კომბინატის დასახლების შს ქვეგანყოფილებასთან გაჩერდა. ეხვაია გადამოიყვანეს მანქანიდან და ოცი წუთის განმავლობაში მას ქერათმიანი მამაკაცი სცემდა. დაახლოებით სამ საათზე იგი მიიყვანეს ზუგდიდის შს სამმართველოს შენობაში, სადაც მას შეხვდა სამართალდამცავი დამკო გაბუნია. ამ უკანასკნელმა გოჩა ეხვაიას სთხოვა, მიეცა აღიარებითი ჩვენება, რომ გალის რაიონის სოფელ შამგონადან გატაცებულ ბავშვს მკურნალობდა. გოჩა ეხვაიამ ამაზე უარი განაცხადა. ბოლოს გადაიყვანეს ნარკოლოგიურ განყოფილებაში, თუმცა, ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის ფაქტი არ დადასტურდა. მიუხედავად ამისა, გოჩა ეხვაიას შეუდგინეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, თითქოს ეს უკანასკნელი ქალაქ ზუგდიდში ჯანაშიას ქუჩაზე უმისამართოდ იგინებოდა. ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ წვრილმანი

ხულიგნობის ჩადენისათვის გოჩა ეხვაია ცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და შეუფარდა ად-მინისტრაციული პატიმრობა 7 დღის ვადით. დროებითი მოთავსების იზოლატორის აღრიცხვის შურწალში გოჩა ეხვაიას დაზიანებები არ დაფიქსირებულა. 2009 წლის 3 თებერვალს გოჩა ეხვაია გადაიყვნეს ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. ნეიროქიორუგის ჩანაწერში აღნიშნულია: „პაციენტმა მიიღო კომპინირებული ტრავმა, მათ შორის ქალა ტვინის დახურული ტრავმა, ტვინის შერყევა, ავადმყოფი ნაცემია.“

2008 წლის 12 თებერვალს სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული მასალები გადაგზავნა იმდროინდელ გენერალურ პროკურატურაში. 2008 წლის 18 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველს გენერალური პროკურატურიდან ეცნობა, რომ 2008 წლის 9 თებერვალს ზუგდიდის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, სამეცნიერო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოში გოჩა ეხ-ვაიას წამების ფაქტზე, დანაშაული – გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. გამოძიება დღემდე გრძელდება.

### ვ) ალექსი ბახუტოვის საქმე

ალექსი ბახუტოვმა ახსნა-განმარტება მისცა საქართველოს სახალხო დამცველს. ახსნა-განმარტებაში აღნიშნულია, რომ 2007 წლის 27 ივნისს თელავის რაიონის სოფელ ნაფარეულის კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა იგი დააკავეს სოფელ ფშაველში, თავის სამუშაო ადგილას, ნათან ზათიაშვილის ფერმაში. პოლიციელები იარაღის მუქარით და ცემით აიძულებდნენ ეთქვა, თუ სად იყო გადამალული ლაშა ჩოფიკაშვილის გვამი. პოლიციელებმა ალექსი ბახუტოვს ხელბორკილები დაადეს და მისი ცემა დაიწყეს. იქვე იმყოფებოდა ალექსი ბახუტოვის მეუღლე ინდირა იზორია, რომლის მიმართულებითაც პოლიციელმა გაისროლა. ალექსი ბახუტოვი და მისი გერი ირაკლი ციციშვილი ნაფარეულის პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც გაგრძელდა მათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება. ამ დროს ირაკლი ციციშვილმა აღიარა, რომ ლაშა ჩოფიკაშვილი მოკლა მისმა მამინაცვალმა, ხოლო გვამის დამალვაში თავად დაეხმარა. აღიარებითი ჩვენება მისცა ალექსი ბახუტოვმაც. მამინაცვალმა და გერმა ფიზიკური ძალადობის ქვეშ დაასახელეს ის პირებიც, რომლებიც დაეხმარნენ ლაშა ჩოფიკაშვილის გვამის დამალვაში. მეორე დღეს ალექსი ბახუტოვი წაიყვანეს იმ ადგილას, სადაც თითქოს მკვლელობა მოხდა. მითითებულ ადგილას გვამი არ აღმოჩნდა. ამის შემდეგ გაგრძელდა ალექსი ბახუტოვის და ირაკლი ციციშვილის ცემა, რათა დაესახელებინათ ის ადგილი, სადაც გვამი იყო გადამალული. ალექსი ბახუტოვი ვერ უძლებდა ფიზიკურ ზენოლას და პოლიციელებს სხვადასხვა ადგილზე უთითებდა. ამ დროს ერთ-ერთმა პოლიციელმა წიხლი ჩაარტყა მუცელში და დაემუქრა, ხოლო სამართალდამცავმა ნუგზარ ზითარიშვილმა ჯოხი დაარტყა კისერში. საბოლოოდ, პოლიციელებმა დაასკვნეს, რომ გვამი მდინარე სტორში იყო გადაგდებული.

სახალხო დამცველისათვის ალექსი ბახუტოვის გერის ირაკლი ციციშვილის მიერ მიცემული ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ 2007 წლის 13 ივნისს მის მამინაცვალსა და ლაშა ჩოფიკაშვილს შორის მოხდა შეღაპურაკება ნათან ზათიაშვილის ფერმაში და ბახუტოვმა ჩოფიკაშვილს სახეში გაარტყა. ირაკლი ციციშვილმა ისინი გააშველა. ამის შემდეგ სმა მინდორში გაგრძელდა. ალექსი ბახუტოვი მინდორში დარჩა, ხოლო ლაშა ჩოფიკაშვილი ფერმაში დაბრუნდა. მეორე დღეს 14:00 საათზე ირაკლი ციციშვილმა კვლავ ნახა ლაშა ჩოფიკაშვილი და მისგან მდინარეში ბანაობის შეთავაზება მიიღო, რაზედაც ირაკლი ციციშვილმა უარი განაცხადა. ამის შემდეგ, ირაკლი ციციშვილს ლაშა ჩოფიკაშვილი აღარ უნახავს. 2007 წლის 18 ივნისს ირაკლი ციციშვილს მიაკითხა ნაფარეულის პოლიციის სამმა თანამშრომელმა. მათ ირაკლი ციციშვილი და ალექსი ბახუტოვი პოლიციაში წაიყვანეს. ირაკლი ციციშვილი შეიყვანეს პოლიციის უფროსის, გოჩა ნოღაშვილის კაბინეტში. პოლიციის უფროსი დაინტერესდა, თუ რა შელაპარაკება მოხდა ლაშა ჩოფიკაშვილსა და ალექსი ბახუტოვს შორის და როგორ შემოაკვდა ბახუტოვს ჩოფიკაშვილი. ასევე, პოლიციის უფროსი ითხოვდა უკანონო ქმედების ჩამდენი სხვა პირების დასახელებას. დაკითხვის განმავლობაში გოჩა ნოღაშვილი ორ პოლიციელთან ერთად სცემდა ირაკლი ციციშვილს. ორი საათის შემდეგ ირაკლი ციციშვილი გაათავისუფლეს.

2007 წლის 27 ივნისს გოჩა ნოღაშვილმა ირაკლი ციციშვილს ნათან ზათიაშვილის კუთვნილ ფერმაში მანქანით მიაკითხა. პოლიციელებმა ირაკლი ციციშვილს განუმარტეს, რომ სოფელ კისისევე წაიყვანეს სინამდვილთან გადამალული იყო ლაშა ჩოფიკაშვილის გვამი, ამის გამო ირაკლი ციციშვილს სოფელ კისისევე წასვლა შესთავაზეს. ირაკლი ციციშვილმა განმარტა, რომ კისისევში გვამის გადამალვის ფაქტი სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. პასუხად ირაკლი ციციშვილმა სახეში მუშტი მიიღო, რის შემდეგაც ნაფარეულის ქვეგანყოფილებისაკენ წაიყვანეს. განყოფილების უფროსის გოჩა ნოღაშვილის თანდასწრებით ირაკლი ციციშვილი რეზინის ხელკეტით სცემეს. ამის შემდეგ, ირაკლი ციციშვილი წაიყვანეს სოფელ კისისევში, ალექსი ბახუტოვის მდისშვილის ზაურ ბახუტოვის სახლში. ამ უკანასკნელმა უარყო თავის სახლში ლაშა ჩოფიკაშვილის გვამის გადამალვის ფაქტი. ამის შემდეგ, პოლიციელები ირაკლი ციციშვილთან ერთად დაბრუნდნენ ნაფარეულის პოლიციაში, სადაც ალექსი ბახუტოვი იყო გადაყვანილი. ამ უკანასკნელს სცემდა გოჩა ნოღაშვილი. ამის შემდეგ ნაფარეულის ქვეგანყოფილების უფროსმა ირაკლი ციციშვილის ცემა გააგრძელა. ალექსი ბახუტოვმა ითხოვა, შეეწყვიტათ თავისი გერის ცემა, სანაცვლოდ, დანაშაულის საკუთარ თავზე დაბრალების პირობას დებდა. სწორედ ამის შემდეგ, დაასახელა ალექსი ბახუტოვმა ლაშა ჩოფიკაშვილის გვამის ადგილსამყოფელი.

2007 წლის 24 აგვისტოს თელავის რაიონულმა სასამართლომ ალექსი ბახუტოვი დამნაშავედ ცნო განზრახ მკვლელობისათვის და შეუფარდა ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა. 2007 წლის 20 სექტემბერს თელავში გამოჩნდა ლაშა ჩოფიკაშვილი. ამ უკანასკნელმა ნაცნობისაგან შეიტყო თავისი „გარდაცვალების“ ამბავი. მთელი ამ დროის განმავლობაში ლაშა ჩოფიკაშვილი ნაწილი მნებელი მუშაობდა. 2007 წლის 22 ნოემბერს კახეთის საოლქო პროკურატურამ ბრალსა და სასჯელზე საპროცესო შეთანხმება გააფორმა ალექსი ცოციაშვილთან, ვეფხია ხაჩოშვილთან და ასლან გარუაშვილთან. აღნიშნული ადამიანები ნამების დროს დაასახელა ალექსი ბახუტოვმა. საპროცესო შეთანხმება იმავე დღეს დაამტკიცა თელავის რაიონულმა სასამართლომ. არსებითი განხილვის გარეშე გამოტანილი განაჩენით, ზემოხსენებული სამი პირი დამნაშავედ იქნა ცნობილი ცოცხალი ლაშა ჩოფიკაშვილის გვამის გადამალვაში.

ალექსი ბახუტოვის ფიზიკური დაზიანებები დასტურდება ყვარლის რაიონის დროებით იზოლატორში განთავსებულ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირთა აღრიცხვის უზრნალიდან, სადაც აღნიშნულია, რომ 2007 წლის 27 ივნისს დაკავებული ალექსი ბახუტოვი შეყვანილი იქნა შემდეგი დაზიანებებით: „მარჯვენა თვალის ქუთუთო ჩაშავებული, ცხვირზე ნაკანი და მარცხნა მხარზე ნაკანი. 2007 წლის 29 ივნისს თბილისის №5 საპყრობილები შეყვანისას მას აღენიშნებოდა მუქი შინდისფერი სისხლჩაქცევა მარცხენა თვალის ბუდის არეში, მარცხენა ბეჭსა და მარჯვენა თეძოს ფრთის მიდამოში“.

2007 წლის 19 დეკემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ახლად აღმოჩენილი გარემოების საფუძვლით, საქართველოს გენერალური პროკურორის შუამდგომლობით გააუქმა ალექსი ბახუტოვის მიმართ დამდგარი თელავის რაიონული სასამართლოს განაჩენი. 2008 წლის 23 იანვარს ალექსი ბახუტოვსა და თელავის საოლქო პროკურატურის პროკურორს შორის გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. 2008 წლის 24 იანვარს საპროცესო შეთანხმება არსებითი განხილვის გარეშე დამტკიცებული იქნა თელავის რაიონული სასამართლოს განაჩენით. ალექსი ბახუტოვი დამნაშავედ იქნა ცნობილი ლაშა ჩოფიკაშვილის მკვლელობის მცდელობები (სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 108-ე მუხლები). ამავე კოდექსის 55-ე მუხლის გამოყენებით, ალექსი ბახუტოვს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლამდე. სკ-ის 50-ე მუხლით, განესაზღვრა 1 წელი, ხოლო დარჩენილი 4 წელი შეეცვალა პირობითი მსჯავრით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 5 წელი.

### გ) ხვიჩა მილდიანის, გოჩა მილდიანის და ლაშა ხორგუანის საქმე

2007 წლის 18 თებერვალს შსს სპეციალურმა ოპერატიულმა დეპარტამენტმა მესტიის რაიონის სოფელ ჯორვალთან ჩატარა სპეციალური ასამართლებრივი სამსახულების, იარაღისა და საბრძოლო მასალის შეძენა-შენახვა-გადაზიდვისათვის დაკავეს სამი პირი: ხვიჩა მილდიანი, გოჩა მილდიანი და ლაშა ხორგუანი.

ამასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველს ახსნა-განმარტება მისცეს გოჩა და ხვიჩა მილდიანებმა. მათი თქმით, 2007 წლის 18 თებერვალს ისინი ჩასხდნენ ავტომანქანა „ვილისში“ მესტიის რაიონის სოფელ ცხუმართან. სოფელ ეცერთან მგზავრებს შეუერთდა კიდევ სუთი პირი, რომელთაგან არც ერთს არ იცნობდნენ. სოფელ ჯორვალთან ავტომანქანა „ვილისი“ პოლიციამ გააჩერა. პოლიციამ გამოარჩია ძმები მილდიანები და სოფელ ეცერში ამოსული ერთ-ერთი მგზავრი ლაშა ხორგუანი და გაჩერიკა ისინი. ჩხრევისას მათ რაიმე კანონით აკრძალული ნივთი ვერ აღმოჩენენ. ამის შემდეგ, მილდიანებს და ლაშა ხორგუანს ტელეფონის ნომრები ჰქითხეს. როდესაც ლაშა ხორგუანმა თავისი ტელეფონის ნომერი წარმოთქვა, ავტომანქანა „ნივიდან“ პოლიციელი გადმოვიდა, რომელმაც ლაშა ხორგუანს უთხრა, „ვის აგინებდი ნუხელ.“ ამის შემდეგ გოჩა და ხვიჩა მილდიანები, ასევე ლაშა ხორგუანი, დააყენეს ავტომანქანა „ნივასთან“ და ჯიბიდან ამოუღეს ნარკოტიკული სამუალება. რაც შეეხება ხვიჩა მილდიანს, მისი კუთვნილი ჩანთიდან ამოიღეს ხელყუმბარები. ხვიჩა და გოჩა მილდიანები განმარტავენ, რომ ხელყუმბარები და ცეცხლსასროლი იარაღი მათ არ ეკუთვნოდათ და ადგილი ჰქონდა მტკიცებულებათა ფაბრიკაციას. ძმები მილდიანები და ლაშა ხორგუანი მანქანაში ჩასვეს, სადაც მილდიანების განმარტებით, გაუკეთეს ნარკოტიკული სამუალება. დაკავებულებმა არც 2007 წლის 18 თებერვალს, დაკითხვისას, აღიარეს ბრალი და არც 2007 წლის 20 თებერვალს, ნარკოტიკული სამუალების მოხმარების გამო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას, ცნეს თავი დამნაშავედ.

გოჩა მილდიანს და ლაშა ხორგუანს ბრალი დაედოთ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება-წარმოება-შეძენა-შენახვასა და გადაზიდვაში, ქმედება – გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეორე ნაწილით, ასევე, პოლიციისათვის ჯგუფური წინააღმდეგობის განვეაში, ქმედება – გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მეორე ნაწილით. ამას გარდა, ხვიჩა მილდიანის მიმართ დამატებით ინკრიმინირებული იქნა საბრძოლო მასალის უკანონო ტარება, ქმედება გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მეორე ნაწილით.

2007 წლის 18 თებერვალს, სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს სამმა თანამშრომელმა, მოწმის სახით დაკითხვისას განაცხადა, რომ სამივე პირი პოლიციის მისამართით უშვერი სიტყვებით იგინებოდა და მათ ნინააღმდეგობას უწევდა. ხოლო 2007 წლის 20 თებერვალს, დაკითხვისას, იმავე მოწმეებმა გა-

ნაცხადეს, რომ პოლიციას წინააღმდეგობას მხოლოდ ლაშა ხორგუანი უწევდა. მათი თქმით, ძმებ მიღდიანებს პოლიციისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

სახალხო დამცველს ახსნა-განმარტება მისცა მოქალაქე ჯ.გვეტაძემ. მისი განმარტებით, 2007 წლის 17 თებერვალს დამით იმყოფებოდა თავის წათესავებთან მესტიის რაიონის სოფელ ეცერში სუფრაზე. მასთან ერთად იყო ლაშა ხორგუანი. სუფრაზე ერთ-ერთმა ახალგაზრდამ ლაშა ხორგუანს სთხოვა მობილური ტელეფონი. ახალგაზრდამ დარეკა, თუმცა, სხვაგან მოხვდა. ვინაიდან უკვე გვიანი იყო, ტელეფონის ზარმა ადრესატი გააღიზიანა და ახალგაზრდა მამაკაცს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. მამაკაცმა თავისი ზარის ადრესატი შეურაცხყოფითვე უპასუხა. ლაშა ხორგუანმა თავისი ტელეფონი გამოართვა ახალგაზრდას და უცნობ აბონენტს ბოდიში მოუხადა, თუმცა, მან ლაშა ხორგუანსაც მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და დაემუქრა, რომ მეორე დღეს შეხვდებოდა.

სახალხო დამცველს ახსნა-განმარტება მისცა ახალგაზრდამ, რომელმაც ლაშა ხორგუანის ტელეფონიდან განახორციელა ზარი. სახალხო დამცველმა, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, მისი ვინაობა კონფიდენციალური დატოვა. ახალგაზრდამ განმარტა, რომ ტელეფონიდან ზარი გაუშვა ნომერზე: 899535341, თუმცა ტელეფონი პირველივე გაშვებული ზარის შემდეგ გათიშა. 2-3 წუთის გასვლის შემდეგ, 899535341 ნომრიდან დაირეკა ლაშა ხორგუანის ტელეფონის ნომერზე. ახალგაზრდამ უპასუხა შემომავალ სატელეფონო ზარს. ტელეფონით საუბრობდა ქალბატონი, რომელმაც იკითხა ზარის გამშვების ვინაობა და უკმაყოფილება გამოხატა გვიან განხორციელებული ზარის გამო. ახალგაზრდამ ბოდიში მოიხადა. მიუხედავად ამისა, ქალბატონი დაემუქრა მოსაუბრეს და ტელეფონი მამაკაცს გადასცა. ამ უკანასკნელმა ახალგაზრდას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რასაც იმავე შინაარსის პასუხი მოჰყვა. რამდენიმე წუთის შემდეგ, 899535341 ნომრიდან ზარი განმეორდა და მამაკაცმა მოსაუბრის ვინაობა იკითხა. ლაშა ხორგუანის ტელეფონით მოსაუბრებ ზარის ავტორს კითხვა დაუპუნა, რაზეც მოსაუბრემ უპასუხა, რომ ირაკლი იყო და მეორე დღეს მის კაბინეტში მოუწევდათ საუბრის გაგრძელება. ამის შემდეგ ლაშა ხორგუანის ტელეფონი გაითიშა, თუმცა ირაკლიმ ლაშა ხორგუანის ტელეფონზე დარეკა შემდეგი ნომრიდან: 877586363. ამ და სხვა ნომრიდან იმ ლამით რამდენჯერმე განმეორდა სატელეფონო ზარები.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ნომერი 899535341 ეკუთვნოდა „ნატოს“ საინფორმაციო ცენტრის იმდროინდელ ხელმძღვანელს, ამჟამად ტელეკომპანია „იმედის“ ნამყვანს ნანუკა ჟორულიანს, ხოლო 877586363 - მის მეუღლეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული დეპარტამენტის უფროსს ერეკლე კოდუას.

სახალხო დამცველი აცხადებს, რომ ახალგაზრდას, რომელმაც ნანუკა ჟორულიანთან თავდაპირველად განახორციელა ზარი, ტელეფონის ნომერი თავად ნანუკა ჟორულიანმა მისცა. ეს უკანასკნელი აშუქებდა სამართლდამცავების მიერ მესტიის რაიონის სოფელ ეცერში აფრასიძეების სამარხიდან ძვლების ამოღების ფაქტს და სწორედ მაშინ მისცა თავისი ტელეფონის ნომერი სოფელ ეცერის მაცხოვრებლებს, იმ მოტივით, რომ საინტერესო ახალი აბების შემთხვევაში აღნიშნულ ნომერზე დაუკავშირდებოდნენ. ახალგაზრდა, რომელმაც ზარი განახორციელა ლაშა ხორგუანის ტელეფონით და ნანუკა ჟორულიანი ხშირად უკავშირდებოდნენ ერთმანეთს, ძირითადად მოკლე ტექსტური შეტყობინებების საშუალებით.

სახალხო დამცველის განმარტებით, ლაშა ხორგუანი სოდის შენობაში დაექვემდებარა წამებას. კერძოდ, მას თავში ურტყამდნენ წყლით სავსე პლასტმასის ბოთლებს, ხოლო რამდენიმე ბოთლი თავზე გადაამტკრიეს. დაკითხვისას ლაშა ხორგუანისაგან ითხოვდნენ იმ პიროვნების ვინაობის დასახელებას, რომელიც თავდაპირველად დაუკავშირდა ნანუკა ჟორულიანს. წამების მიუხედავად, ლაშა ხორგუანმა ზემოხსენებული ახალგაზრდა არ გათქვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის და მონიტორინგის სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორის დაკავებულ პირთა გარეგანი დათვალიერების ოქმში აღწერილია, რომ ლაშა ხორგუანს სახეზე აღნიშნებოდა დაზიანებები.

დაკავებამდე ლაშა ხორგუანის ტელეფონი ისმინებოდა სოფელ ჯორკვალის მონაკვეთზე არსებული სატელეფონო ანძების საშუალებით. 2007 წლის 18 თებერვალს ლაშა ხორგუანმა დარეკა „ვილისის“ მძღოლთან და შეატყობინა, რომ ორ ადამიანთან ერთად აპირებდა თბილისში გამგზავრებას. ლაშა ხორგუანი ასევე დაინტერესდა მოიძებნებოდა თუ არა მანქანაში სამი ადამიანის ადგილი. სახალხო დამცველი გამოთქვამს ვარაუდს, რომ სწორედ ამ საუბრით იქნა დადგენილი ირაკლი კოდუას მიერ, ლაშა ხორგუანის თბილისში გამგზავრების სურვილი და მისი თანამგზავრების რაოდენობაც. სატელეფონო საუბრიდან პოლიციამ გაიგო, რომ ხორგუანს ორი თანამგზავრი ახლდა, მაგრამ არ იცოდნენ, ვინ იყვნენ ისინი და დაკავების დროს ახალგაზრდობის ნიშნით გამოარჩიეს ხვიჩა და გოჩა მიღდიანები.

გოჩა და ხვიჩა მიღდიანები, ასევე ლაშა ხორგუანი ცნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების (ნარკოტიკული საშუალების მოხმარება) ჩადენისათვის და შეუფარდეს ჯარიმა, თითოეულს 500 ლარი.

2007 წლის 20 თებერვალს მესტიის რაიონულ სასამართლოში აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას,

პროექტორმა გოჩა და ხვიჩა მილდიანების მიმართ თავდაპირველ შუამდგომლობაში დაყენებული მოთხოვნა შეცვალა და მათთან გაფორმებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცება მოითხოვა, რაც არსებითი განხილვის გარეშე გამოტანილი განაჩენით იქნა დამტკიცებული. იმავე დღეს, მესტიის რაიონული სასამართლოს ბრძანებით, ლაშა ხორგუანს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა ორთვიანი წინასწარი პატიმრობა. 2007 წლის 11 აპრილს მესტიის რაიონულმა სასამართლომ არსებითი განხილვის გარეშე განაჩენით დაამტკიცა ლაშა ხორგუანთან გაფორმებული საპროცესო შეთანხმება.

## თ) გიორგი ბექაურის საქმე

2010 წლის 26 თებერვალს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას ახსნა-განმარტება მისცა მოძრაობა „რატომის“ აქტივისტმა გიორგი ბექაურმა.

ეს უკანასკნელი დაიბადა დუშეთის რაიონის დაბა უინვალში, 2002 წელს ჩააბარა ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის კოლეჯში. 2007 წლიდან განევრიანდა მუსიკალურ ჯგუფ „ზუმბა-ლენდში.“ 2007 წლიდან 2009 წლამდე გიორგი ბექაური „ზუმბა-ლენდში“ უკრავდა მიხეილ სააკაშვილის მხარდასაჭერად გამართულ კონცერტებზე. 2009 წლის 12 ივნისს თავისი სამოქალაქო პროტესტის გამოსახატვად გაერთიანდა სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობაში „რატომ.“ იმავე დღეს ჩაატარა საპროტესტო ხასიათის კონცერტი.

2009 წლის 15 ივნისს გიორგი ბექაურმა მონანილეობა მიიღო ოპოზიციური ახალგაზრდული ორგანიზაციების საპროტესტო შეკრებაში, რომელიც ქალაქ თბილისში, დიღმის მასივში მდებარე მაიაკოვსკის ძეგლიდან დაიწყო. აქციის მონანილებამ შეადგინეს იმ ახალგაზრდების სია, რომლებიც მზადყოფნას გამოთქვამდნენ, კონკრეტული კანონდარღვევის არსებობის შემთხვევაში ხელისუფლებას პასუხისმგებაში მიეცა. მაიაკოვსკის ძეგლიდან აქციის მონანილებამ დაიძრნენ კორნელი ჩალაძის ქუჩის მიმართულებით, რომლის ბოლოშიც მდებარეობს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს შენობა. შეკრების მონაწილეები განთავსდნენ სამმართველოს ღონისძიების მახლობლად და ხმის გამაძლიერებლის გამოყენებით დაიწყეს იმ ადამიანების სახელების კითხვა, რომლებიც მზად იყვნენ, ხელისუფლებას ჩაბარებოდნენ. გიორგი ბექაურს ხელში ეჭირა ტრანსპარანტი წარწერით: „რატომ?“

აქციის დაწყებიდან 20 წლითში სამმართველოს შენობიდან გამოემართნენ ნიღბიანი და უნილბო პოლიციელები, ნაწილს სამოქალაქო ტანასაცმელი, ხოლო ნაწილს პოლიციის სპეციალური ფორმა ეცვა. გიორგი ბექაურის განმარტებით, სამართალდამცავთა რიცხვი ხუთასამდე აღნევდა. მათ დანახვაზე იგი პირდაპირ მაიაკოვსკის ძეგლის მიმართულებით გაიქცა, თუმცა, მოულოდნელად თავის არეში რეზინის ხელკეტის ქლიერი დარტყმა იგრძნო და გონება დაკარგა. როდესაც გიორგი ბექაური გონზე მოვიდა, გაქცევა სცადა, თუმცა, ფეხზე ვერ წამოდგა და ამიტომ, დამალვის მიზნით, შეეცადა გაჩერებული სამარშრუტო ტაქსის ქვეშ შემძვრალიყო. ამ დროს გიორგი ბექაურს ხელი ჩაავლო 4-მა პოლიციელმა, რომლებმაც მას ხელკეტებით ცემა დაუწყეს. ბოლოს, პოლიციელებმა მიწაზე დაგდებულ გიორგი ბექაურს, რომელიც ფეხზე ვერ დგებოდა და სისხლი სდიოდა, ფეხზე ჯაჭვი მოაქცია და თბილისის მთავარი სამმართველოს შენობისაკენ წაათრიეს. ჯაჭვით თრევისას გიორგი ბექაური თავს მიწაზე ახეთქებდა, ამიტომ ცდილობდა ხელები მიწაზე დაეყრდნო, რათა შეხების წერტილი თავიდან ხელებზე გადაეტანა. პოლიციელები გიორგი ბექაურს ხელებზე ურტყამდნენ, რათა მიწას ხელებით არ შეხებოდა.

ამ მდგომარეობაში გიორგი ბექაური შეიყვანეს თბილისის სამმართველოს შენობის ფოიეში და ძირს დააგდეს იმ ადგილას, სადაც უამრავი წაცემი აქციის მონაწილე და უურნალისატი იმყოფებოდა. პოლიციის უნილბო თანამშრომლებმა და ნიღბიანმა პირებმა გიორგი ბექაურის ცემა ისევ განაგრძეს. მას ურტყამდნენ წისძლებს და რეზინის ხელკეტებს. გიორგი ბექაურმა წყალი ითხოვა, თუმცა, ამის მაგივრად მას წყალი შეასხეს. გიორგი ბექაურს თავი და ყბა გახეთქილი ჰქონდა და სისხლი სდიოდა. ფეხზე წამოდგომის ყოველი მცდელობის დროს თავში რეზინის ხელკეტი ხვდებოდა. მოგვიანებით მასთან მივიდა დროებითი მოთავსების იზოლატორის ექიმი (დროებითი მოთავსების იზოლატორი თბილისის სამმართველოს შენობაშია განთავსებული), რომელმაც გიორგი ბექაური მოიკითხა. ექიმმა გიორგი ბექაურს წყალი და „ვალერიანის“ წვეთები დაალევინა და, სამართალდამცავების წებართვით, სამმართველოს შენობის საპირფარეშოში შეიყვანა, სადაც სისხლი მობანა და ტკივილგამაყუჩებელი წამალი მიაღებინა. ამის შემდეგ გიორგი ბექაური ექიმს დააშორეს და დროებითი მოთავსების იზოლატორისაკენ წაიყვანეს.

გზად იზოლატორისაკენ გიორგი ბექაურს შსს-ს თანამშრომელთა „სირცხვილის კორიდორი“ ელოდა: პოლიციელებიორ წანილად გაიყვნენ და ერთმანეთის საპირისპიროდ განთავსდნენ, რითაც შეემნეს ე.წ. „ცოცხალი კორიდორი.“ ორმა სპეციალურ ფორმაში ჩაცმულმა პირმა, რომლებსაც დაკავებული დროებითი მოთავსების იზოლატორისაკენ მიჰყავდათ, იგი ძირს დააგდეს, ფეხებში ხელი მოჰკიდეს და თავდაყირა წაათრიეს. იგი თავს მიწას ურტყამდა და, იმავდროულად, პოლიციელების წისძლებიც ხვდებოდა. „სირცხვილის კორიდორის“ გავლის შემდეგ გიორგი ბექაური შეიყვანეს დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც კვლავ სცემა სამართალდამცავების გადამლები ჯგუფი აპირებდა მისვლას, რის გამოც გიორგი ბექაური საპირფარეშოში გად-

ამალეს. რეზინის ხელკეტებით ცემის შედეგად მან სისხლი აღებინა, ამიტომ იგი ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს.

გიორგი ბექაშვილი გაცემულ სააქციო საზოგადოება აკად. ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის სტაციონარის №3440 ავადმყოფის სამედიცინო ბარათში აღნიშნულია:

„ქალა ტვინის დახურული ტრავმა, თავის ტვინის შერყევა, დაჟეჟილი ჭრილობები თხემისა და მარცხენა თეძოს მიდამოში, მარჯვენა კოჭ-წვივის მიდამოში ნაფლეთოვანი ჭრილობა.”

#### ე) მერაბ ჭიქაშვილის საქმე

2010 წლის 19 თებერვალს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას ახსნა-განმარტება მისცა მერაბ ჭიქაშვილმა.

მერაბ ჭიქაშვილი დაიბადა 1976 წლის 3 ნოემბერს. 2000 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს ინსტიტუტი. მერაბ ჭიქაშვილი პროფესიონალი მსახიობია. 2001 წლიდან არის პოლიტიკური პარტია „ახალი მემარჯვენების“ წევრი. 2006-2008 წლებში მუშაობდა საქართველოს საზოგადოებრივ მაუნიერებელში დოკუმენტური ფილმების გამსმოვანებლად. მერაბ ჭიქაშვილმა გაახმოვანა ცნობილი დოკუმენტური ფილმი „ნოემბრიდან-ნოემბრამდე.“ საზოგადოებრივი მაუნიერებლიდან გათავისუფლების შემდეგ, 2008 წლის სექტემბრის თვიდან შეწყვიტა კავშირი „ახალ მემარჯვენებთან“ და 2008 წლის დეკემბერში, თანამოაზრებთან ერთად, დააფუძნა ახალგაზრდული წინააღმდეგობის მოძრაობა „რატომ,“ რომელიც საქართველოს ხელისუფლების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულებით გამოიიჩინა.

მერაბ ჭიქაშვილი მოძრაობა „რატომის“ სხვა აქტივისტებთან ერთად ჩაერთო 2009 წლის 9 აპრილს დაწყებულ სამთვიან საპროტესტო აქციაში.

2009 წლის 12 ივნისს რამდენიმე პოლიტიკურ აქტივისტთან ერთად დააკავეს მოძრაობა „რატომის“ ერთეული დამფუძნებელი დავით ფაცაცია. ეს უკანასკნელი მონაწილეობდა იმავე დღეს პარლამენტის შენობის წინ გამართულ აქციაში, სადაც დემონსტრანტებმა პარლამენტის წევრებს კვერცხები ესროლეს. დაკავებული დავით ფაცაცია ადმინისტრაციულ პასუხისმგებელი მისცეს. დავით ფაცაციასა და 2009 წლის 12 ივნისს ფაქტთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი სხვა პირებისათვის სოლიდარობის გამოცხადების მიზნით, ახალგაზრდული ოპოზიციური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა თბილისის შემთავრი სამმართველოს წინ საპროტესტო შეკრება განიზრახეს.

შეკრება 2009 წლის 15 ივნისს 14:00 საათზე ქალაქ თბილისში, დილმის მასივში, მაიაკოვსკის ძეგლის წინ დაწყო. ამის შემდეგ დემონსტრანტები ძეგლის მოპირდაპირ მხარეს განთავსებული თბილისის შემთავრი სამმართველოსაკენ დაიძრნენ. შეკრებაში მონაწილეობდა დაახლოებით 100-120 ადამიანი. შენობასთან მისულმა დემონსტრანტებმა ხმის გამძლიერებლით შეკრების იმ მონაწილეთა სახელების კითხვა დაიწყეს, რომლებიც მზადყოფნას გამოთქვამდნენ, დავით ფაცაციასა და სხვა დაპატიმრებული ახალგაზრდების გვერდით აღმოჩენილიყვნენ.

შეკრების მიმდინარეობისას, ორივე მხრიდან — დილმის ავტომაგისტრალისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს შენობის ეზოდან ხმაურით გამოემართნენ პოლიციელები. აღნიშნულ მოქმედებას წინ არ უძლოდა გაფრთხილება შეკრების შეწყვეტის თაობაზე. სამართალდამცავებმა ძალის გამოყენებით შეკრების დაშლა დაიწყეს. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის სამმართველოს უფროსი გიორგი გეგეჭკორი იმ დროს მიუხსლოვდა მერაბ ჭიქაშვილს, როდესაც ეს უკანასკნელი არეულობის შედეგად წაქცეულ უცხოძ გოგონას ფეხზე აყენებდა. გიორგი გეგეჭკორმა ქამრით დაიჭირა მერაბ ჭიქაშვილი და დამორჩილებისაკენ მოუწოდა. მერაბ ჭიქაშვილმა უთხრა, რომ თავში ტრავმა ჰქონდა მიღებული და ამ მიმართულებით ზემოქმედებისაგან თავის შეკავება მოითხოვა. მერაბ ჭიქაშვილი გიორგი გეგეჭკორმა სააპელაციო სასამართლოს შენობის ეზოში შეიყვანა და იქ მყოფ პოლიციელებს მოუწოდა, დაკავებულისათვის თავში არ ეცემათ. ნიღბიანმა სპეციაზმელებმა მერაბ ჭიქაშვილი ტროტუარზე დასვეს და წისძლებით ცემა დაუწყეს. მას მოპილური ტელეფონის ამოღებას და ძირს დადებას სთხოვდნენ. მერაბ ჭიქაშვილი მოთხოვნას დაემორჩილა.

ამის შემდეგ მერაბ ჭიქაშვილი შეიყვანეს თბილისის შეს სამმართველოს შენობაში, სადაც სამართალდამცავებს ე.წ. „სირცხვილის კორიდორი“ ჰქონდათ მოწყობილი. მერაბ ჭიქაშვილმა გაიარა სამოქალაქო და პოლიციელის ფორმაში გამოწყობილი პირების კორიდორში, სადაც ორივე მხრიდან ერთდროულად ურტყამდნენ რეზინის ხელკეტებს და წისძლებს. კორიდორის დასრულებამდე მერაბ ჭიქაშვილმა გონება დაკარგა. უგონო მდგომარეობაში შეათრიეს თბილისის შეს მთავარი სამმართველოს შენობის ფორეში. როდესაც გონს მოვიდა, მან შენიშნა ფორეს იატაკზე დაყრილი 40-50 ადამიანი, მათ შორის, მიშა მესხი, დაჩი ცაგურია და გიორგი ბექაშური. ამ უკანასკნელს თავიდან სისხლი სდიოდა. მერაბ ჭიქაშვილს ჩამოართვეს მობილური ტელეფონი და ფოტოსურათები გადაუდეს. ამის შემდეგ ის შეიყვანეს დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც შეადგინეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი. ბოლოს მერაბ ჭიქაშვილი წარადგინეს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

2010 წლის 15 ივნისის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (მოსამართლე ნათია ჯორბენაძე) დადგენილებით, მერაბ ჭიქაშვილი ცნობილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალ-დამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნის ბოროტი დაუმორჩილებლობა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ადმინისტრაციული სახდელის ზომად განესაზღვრა პატიმრობა 30 დღის ვადით.

2009 წლის 23 ივნისის წამების, ძალადობის და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მსხვერპლთა ფსიქო-რეაბილიტაციის ცენტრ „ემპათიას“ მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების №2 იზოლატორში ჩატარებული სამედიცინო მონიტორინგის ანგარიშიდან ირკვევა, რომ მერაბ ჭიქაშვილს დაუდგინდა შემდეგი წინასწარი დიაგნოზი:

ქალა-ტვინის დახურული ტრავმა, თავის ტვინის შერყევა, შფოთვით-დეპრესიული რეაქცია სტრესზე, სხეულის ზოგადი დაუეუილობა, სხეულის სხვადასხვა მიდამოს ჰემატომები და ექსკორეაციები.

#### კ) ვახტანგ მაისურაძის საქმე

ვახტანგ მაისურაძე დაიბადა 1986 წლის 20 სექტემბერს ქალაქ სოხუმში. 2007 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტი. არის ისტორიის მასწავლებელი. 2008 წლის ნოემბრიდან გახდა ახალგაზრდული წინააღმდეგობის მოძრაობა „რატომის“ აქტივისტი.

2009 წლის 12 ივნისს საქართველოს პარლამენტის წინ აქციის მონაწილეებსა და დემონსტრანტებს შორის მოხდა ინციდენტი. ამის შედეგად დაშავდა ვახტანგ მაისურაძის მეგობარი დავით ფაცაცია, რომელიც მოგვიანებით დააკავეს და ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მისცეს.

2009 წლის 15 ივნისს ვახტანგ მაისურაძე იმყოფებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს წინ გამართულ აქციაზე, სადაც შეკრების მონაწილეები აპროტესტებდნენ დაკავებულების, მათ შორის, დავით ფაცაციას დაპატიმრებას. საპროტესტო აქციის მონაწილეებმა წაიკითხეს თავიანთი ბიოგრაფიული მონაცემები და სამართალდამცავებს ურჩიეს, ჩამოთვლილ მონაწილეთა დაკავება კანონის დაცვით.

შეკრების დაწყებიდან 10-15 წუთის გასვლის შემდეგ, სამმართველოს შენობიდან, ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ეზოდან გამოვარდნენ სამოქალაქო და პოლიციის ფორმაში ჩაცმული პირები. მათ უმრავლესობას სახეზე ეკეთა ნიღბები, აღნიშნული ადამიანები საპროტესტო აქციის მონაწილეებისაკენ გაემართნენ. შეკრების მონაწილეებმა გაქცევა სცადეს, თუმცა, საპირისპირ მხრიდან ფორმაში ჩაცმული სხვა პირები გამოჩნდნენ და აქციის მონაწილეები ალყაში მოაქციეს. ვახტანგ მაისურაძე იმ ხიდისკენ გაიქცა, რომელიც სააპელაციო სასამართლოსა და თბილისის სამმართველოს შორის მდებარეობს. ამ დროს მას დაეწია პოლიციის თანამშრომელი და თავში რეზინის ხელკეტი ჩაარტყა. ვახტანგ მაისურაძე ძირს დავარდა. ამის შემდეგ მას მისცვივდნენ სამართალდამცავები და მისი ცემა დაიწყეს. ვახტანგ მაისურაძე ითხოვდა, რომ არ დაერტყათ თავში, საიდანაც სისხლი სდიოდა. სახეში დარტყმის შემდეგ ვახტანგ მაისურაძეს თვალთ დაუბნელდა, რის შემდეგაც პოლიციელებმა მას თავი დაანებეს. ვახტანგ მაისურაძე შეეცადა თბილისის მთავარი სამმართველოს შენობის მიმდებარე ტერიტორია დაეტოვებინა, თუმცა ფეხზე წამოდგომა ვერ შეძლო, ამიტომ სააპელაციო სასამართლოს ეზოსაკენ ფორთხვით წავიდა. ამ დროს ვახტანგ მაისურაძე გადაეყარა სააპელაციო სასამართლოდან მომავალ პოლიციელთა ახალ ნაკადს, რომლებმაც მისი ხელკეტებით ცემა დაიწყეს. ვახტანგ მაისურაძემ დაინახა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს უფროსი გიორგი გეგეჭკორი, რომელმაც თავის ხელქვეითებს უზრდანა, იგი სააპელაციო სასამართლოს ეზოში შეეყვანათ. სააპელაციო სასამართლოს ეზოში ვახტანგ მაისურაძეს ფიზიკურ შეურაცხყოფას აღარ აყენებდნენ. მას ჩამოართვეს მობილური ტელეფონი. სააპელაციო სასამართლოს ეზოში ვახტანგ მაისურაძემ შენიშნა აქციის ბევრი მონაწილე, ერთ-ერთს პოლიციელებმა წიხლი ჩაარტყა. დაკავებულებს ემუქრებდნენ, დასცინოდნენ და „პუტინის აგენტებს“ უწოდებდნენ. 10 წუთის გასვლის შემდეგ ვახტანგ მაისურაძე და სააპელაციო სასამართლოს შენობაში მყოფი სხვა პირები გადაიყვანეს თბილისის მთავარი სამმართველოს შენობაში. სამმართველოს შენობასა და სააპელაციო სასამართლოს მდებარე ხიდზე გადასვლისას ვახტანგ მაისურაძესთან მივიდა პოლიციის რამდენიმე თანამშრომელი, ფეხებსა და წვივებში რეზინის ხელკეტები დაარტყა. ვახტანგ მაისურაძის თანმხლებმა პოლიციელებმა მოითხოვეს, შეეწყვიტათ მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება, რასაც დაემორჩილნენ.

მაისურაძე შეიყვანეს თბილისის შემთხვევაში სამმართველოს შენობის ეზოში. 50-60 პოლიციელი გაიყო ორ ჯგუფად და განთავსდა ერთმანეთის პირისპირ, მათ „სირცხვილის კორიდორი“ მოაწყვეს. კორიდორის გავლისას ვახტანგ მაისურაძეს ურტყამდნენ რეზინისა და რკინის ხელკეტებს. შემდეგ იგი შეიყვანეს სამმართველოს შენობის ფოიეში, სადაც თავისი ნაცემი თანამოაზრები იხილა.

ვახტანგ მაისურაძეს შეუდგინეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი. 2009 წლის 15 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ვახტანგ მაისურაძე სცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოლეგის 173-ე მუხლით (სამართალდამცავი ორგანიზონის კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის და ადმინისტრაციული სახდელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 400 ლარის ოდენობით.

2009 წლის 16 ივნისს თსუ-ს ცენტრალური კლინიკის მიერ გაცემული №5023 ისტორიიდან ირკვევა, რომ ვახტანგ მაისურაძეს დაესვა შემდეგი დიაგნოზი:

„ქალა-ტვინის დახურული ტრავმა, მარცხენა თხემ-კეფის მიდამოს ნახეთქი ჭრილობა, ზურგის მიდამოს მრავლობითი ექსკორეაციები.“

#### ლ) გორგოჩითარმშვილის საქმე

გიორგი ჩითარიშვილი დაიბადა 1988 წელს ქალაქ ყვარელში. 2006 წელს ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით.

2008 წელს ჩამოაყალიბა სტუდენტური მოძრაობა „ახალგაზრდული.“ ეს უკანასკნელი უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და მის მიმართ ლოიალურად განწყობილ სტუდენტურ თვითმმართველობას დაუპირისპირდა.

2009 წელს გიორგი ჩითარიშვილი გახდა „ერთიანი სტუდენტური ალიანსის“ წევრი და აღნიშნულ ორგანიზაციასთან ერთად სტუდენტებისათვის დაწესებული გადასახადის შემცირების საკითხს ადვოკატირებდა. გარდა ამისა, თანამშრომლობდა სხვადასხვა მოძრაობასთან – „7 ნოემბერი“, „თანასწორობის ინსტიტუტი“, „რატომ“.

2009 წლის 15 ივნისს, დილით, გიორგი ჩითარიშვილი თსუ-ში იმყოფებოდა. თავისი მეგობრებისგან, ბექა ალადაშვილისა (ერთიანი სტუდენტური მოძრაობა) და დაჩი ცაგურიასგან (მოძრაობა „7 ნოემბერი“) შეიტყო, რომ დღის 14.00 საათზე თბილისის შე მთავარი სამართველოს შენობის წინ იმართებოდა საპროტესტო აქცია, 2009 წლის 12 ივნისს დაკავებული პირებისათვის სოლიდარობის გამოცხადების მიზნით. აქციაზე ერთ-ერთმა დემონსტრაციმა შეკრების მონაწილეთა სახელების კითხვა დაიწყო. ამ დროს დილმის გზატკეცილიდან და სააპელაციო სასამართლოდან პოლიციელები სირბილითა და ყვირილით გამოემართნენ დემონსტრაციებისაკენ. ისინი აღჭურვილი იყვნენ ბეისბოლის ჯოხებით და რეზინის ხელკეტებით, ასევე, ბლაგვი საგნებით. სამართალდამცავების დიდ ნაწილს სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა, მხოლოდ მცირე ნაწილი იყო პოლიციის ფორმაში გამოწყობილი. გიორგი ჩითარიშვილი სააპელაციო სასამართლოსკენ გაიქცა. ამ დროს ერთ-ერთმა პოლიციელმა მას თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყა, რის შედეგადაც გონება დაკარგა. გონება მოსვლის შემდეგ იგრძნო, რომ დაახლოებით 8-9 ნიღბიანი პირი ბლაგვ საგანს ურტყამდა. ერთ-ერთმა ნიღბიანმა რეზინის ხელკეტის გამოყენებით ხელიდან მოხსნა სანდრო გირგვლიანის ხსოვნის საპატივსაცემო სამაჯური. რეზინის ხელკეტის დარტყმის დროს გიორგი ჩითარიშვილს მობილური ტელეფონი დაუვარდა. ტელეფონის აღება სცადა, მაგრამ პოლიციელმა ფეხით შორს მოისროლა. ამის შემდეგ გიორგი ჩითარიშვილი შეიყვანეს თბილისის შე სამმართველოს შენობის ეზოში, სადაც პოლიციელებს „სირცხვილის კორიდორი“ ჰქონდათ მოწყობილი. აიძულეს, ეს „კორიდორი“ გაევლო. პოლიციელები ორივე მხრიდან გამეტებით ურტყამდნენ თავისა და მუცლის არეში, იმავდროულად, უცენზურო სიტყვებს წარმოთქვამდნენ. ამის შემდეგ ძირს დააგდეს და ასე განაგრძეს ცემა. მოძალადები გიორგი ჩითარიშვილს ეუბნებოდნენ, რომ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მოწყობილ აქციებს ყოველთვის დაშლიდნენ. ფიზიკური ანგარიშსწორება სამმართველოს შენობაშიც გაგრძელდა. ერთადერთ თხოვნაზე, რომ მისთვის წყალი მიეტანათ, უარი მიიღო. შეადგინეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი და მასზე ხელის მოწერა სთხოვეს. შემდგომი ფიზიკური შეურაცხყოფის თავიდან ასაცილებლად, ასევე, განცდილი ძალადობის შედეგად გამოწვეული სისუსტის გამო, მან სამართალდარღვევათა ოქმი და ის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო. ადმინისტრაციული სახდელის ზომად მას განესაზღვრა ადმინისტრაციული პატიმრობა 30 დღემდე ვადით.

2009 წლის 23 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს დროებითი მოთავსების №2 იზოლატორში წამების, ძალადობისა და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მსხვერპლთა ფსიქო-რეაბილიტაციის ცენტრ „ემპათიას“ მიერ ჩატარებულ №02-07/09 სამედიცინო მონიტორინგის ანგარიშში აღნიშნულია:

„გიორგი ჩითარიშვილს დაესვა შემდეგი წინასწარი დიაგნოზი — ქალა-ტვინის დახურული ტრავმა, დისფო-რიულ-დეპრესიული რეაქცია სტრესზე პიროვნული დისფუნქციის ფონზე, სხეულის ზოგადი დაუუჯილობა, სხვადასხვა მიდამოს ექსკორეაციები და სისხლჩაქცევები“.

## მ) ლუკა წულაძის საქმე

ლუკა წულაძე დაიბადა 1980 წლის 16 სექტემბერს ქალაქ ლანჩხუთში. 2003 წელს დაამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის რეჟისურის ფაკულტეტი.

2003 წელს ლუკა წულაძე გახდა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ მიმართული ახალგაზრდული მოძრაობა „კმარას“ აქტიური წევრი. პარალელურად, მუშაობდა ფონდ „ალპეში“ სოციალური რეკლამების რეჟისორის თანამდებობაზე. ფონდი „ალპე“ ამზადებდა „კმარას“ აქტივობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სარეკლამო რგოლს. 2005 წელს ლუკა წულაძე თავის თანამოაზრესთან, „კმარას“ აქტივისტთან, დღეისათვის პარლამენტის წევრ გიორგი კანდელაკთან ერთად დააკავეს ბელორუსში, ქალაქ მინსკში მაშინ, როდესაც ისინი ბელორუს ახალგაზრდებს ტრენინგებს უტარებდნენ არაძალადობრივი ბრძოლის მეთოდებთან დაკავშირებით. ლუკა წულაძემ და გიორგი კანდელაკმა გამანანილებელში 10 დღე გაატარეს. უფლებადამცველმა საერთაშორისო ორგანიზაცია „Amnesty International“-მა ისინი სინდისის პატიმრებად მოიხსენია.<sup>12</sup>

ლუკა წულაძე მონანილეობდა პრეზიდენტ სააკაშვილის წინააღმდეგ მოწყობილ 2007 წლის 7 ნოემბრის საპროტესტო აქციაში, რომელიც ხელისუფლებამ ძალის გამოყენებით დაშალა. 2008 წლის პირველ ნახევარში ლუკა წულაძე გახდა მოძრაობა „ახალგაზრდული ფრონტის“ წევრი. 2008 წელს კი, თანამოაზრებთან ერთად, დააფუძნა „კმარას“ ფორმატის ახალგაზრდული წინააღმდეგობის მოძრაობა „რატომ“. სწორედ ამ მოძრაობის ფარგლებში აქტიურ მონანილეობას იღებდა 2009 წლის 9 აპრილს დაწყებულ ხანგრძლივ ოპოზიციურ აქციებში. მოძრაობა „რატომის“ აქტივისტები არაიდერთებ გამხდარან არაიდენტიფიცირებული პირების მხრიდან თავდასხმის ობიექტები. ამავე დროს, „რატომის“ აქტივისტებს უფარდებდნენ ადმინისტრაციულ პასუხისმგებას სამართალდამცავების კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისა და წვრილმანი ხულიანობისათვის. 2009 წლის 12 ივნისს ამგვარი საფუძვლით დააკავეს და აღმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდეს მოძრაობა „რატომის“ ორ აქტივისტს.

გახშირებული რეპრესიების პასუხად, 2009 წლის 15 ივნისს, მოძრაობა „რატომის“ აქტივისტები თბილისის მთავარი სამმართველოს წინ შეიკრიბნენ. შეკრების ორგანიზატორთა მიზანი იყო, პოლიციას გაეგო დემონსტრაცითა მონაცემები იმისათვის, რომ კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, ისინი დაეკავებინათ.

2009 წლის 15 ივნისს, შეკრების დაწყებიდან რამდენიმე წუთში, ორი მხრიდან – დიღმისა გზატკეცილისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს შენობიდან, ყვირილით გამოემართნენ პოლიციის ფორმასა და სამოქალაქო ტანსაცმელში ჩატარები. ისინი აღჭურვილი იყვნენ რეზინისა და რკინის ხელკეტებით, ჯაჭვზე მობმული კასტეტებით და სხვა ბლაგვი საგნებით. მათ აღყაში მოაქციეს აქციის მონანილები. მხოლოდ სამართველოს ჭიშკარი იყო ღია, რაც პოლიციური ძალისაგან თავის დასაცავ ერთადერთ გზას წარმოადგენდა. ლუკა წულაძეს სამი პოლიციელი სცემდა. მათ პერიოდულად სხვებიც ემატებოდნენ. ერთმა სამართალდამცავმა სხვებს მოუწოდა, ლუკა წულაძისათვის რკინის ხელკეტი არ ჩაერტყათ. ცოტა ხნით ცემა მართლაც შეწყვიტეს. შემდეგ ერთმა პოლიციელმა ძირს დააგდო, ხელები გაუკავა, სხვები კი ბლაგვ საგნებს ურტყამდნენ. სამოქალაქო და პოლიციის ფორმაში ჩატარები პირები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ლუკა წულაძე სულ სამჯერ სცემეს. ფიზიკური ანგარიშსწორების მიუხედავად, მან მაინც მოახერხა შემთხვევის ადგილის დატოვება და თავი ტოტალიზატორის შენობას შეაფარა. ამ დროს დაფარული ნომრიდან დაურეკა უცნობმა ადამიანმა, რომელმაც თავი დაჩი ცაგურიად წარუდგინა და მისი ადგილსამყოფელი იყითხა. ლუკა წულაძემ უპასუხა, რომ ადგილსამყოფელს ტელეფონით ვერ გაუმხელდა. სატელეფონო საუბრის დასრულების შემდეგ, ტოტალიზატორის შენობიდან პოლიციკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენებების“ პიარ-მენეჯერი ნესტან ინასარიძე შენიშნა და გარეთ გამოვიდა. მათთან მივიდა „ახალი მემარჯვენებების“ წევრი, დავით საგანელიძე, რომლის მანქანაში სხვა დაშავებულებიც ისხდნენ. დავით საგანელიძემ ისინი ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში გადაიყვანა.

2009 წლის 15 ივნისის ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის №3434 სტაციონარის ავადმყოფის სამედიცინო ბარათიდან ირკვევა, რომ ლუკა წულაძეს დაუსვეს შემდეგი დიაგნოზი: ქალა-ტვინის დახურული ტრავმა, თავის ტვინის შერყევა, ზოგადი დაუუჯილობა.

<sup>12</sup> <http://www.amnesty.org/en/library/asset/EUR49/010/2005/en/ed8c3a2d-d4b2-11dd-8a23-d58a49c0d652/eur490102005en.html>

## 6) ვახტანგ მენაბდეს საქმე

2010 წლის 18 მარტს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას ახსნა-განმარტება მისცა სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელმა ვახტანგ მენაბდემ.

ვახტანგ მენაბდე დაიბადა 1987 წლის 17 ივნისს ქალაქ თბილისში. 2008 წლის თებერვლიდან 2009 წლის ნოემბრამდე მუშაობდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობისა და თავისუფლების სამართველოს სპეციალისტად. 2009 წლის ნოემბრიდან არის სახალხო დამცველთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრის უფროსი.

2009 წლის 9 აპრილს ქალაქ თბილისში დაიწყო სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების ხანგრძლივი საპროტესტო აქციები. სახალხო დამცველმა მიიღო შეკრებების მონიტორინგის გადაწყვეტილება. სახალხო დამცველის რჩმუნებულები 24 საათის განმავლობაში იმყოფებოდნენ საპროტესტო აქციაზე და აკვირდებოდნენ შეკრების მიმდინარეობას.

2009 წლის 15 ივნისს 14:00 საათზე ვახტანგ მენაბდე გაემართა თბილისის შეს მთავარი სამმართველოს შენობასთან გეგმიურ მონიტორინგზე. დანიშნულების ადგილს მძღოლთან ერთად 10-15 წუთში დიღმის ავტომაგისტრალიდან მიუახლოვდა. მას ეცვა სახალხო დამცველის საიდენტიფიკაციო ფორმა, შესაბამისი კეპით. შინაგან საქმეთა სამმართველოს შენობასთან მიახლოებისას შენიშნა, რომ საპროტესტო აქცია დაშლილი იყო და პოლიცია ცალკეული მომიტინგების დაკავებას ცდილობდა. ვახტანგ მენაბდე რამდენიმე წუთის განმავლობაში იდგა თბილისის შეს სამმართველოს შენობის შესასვლელის ნინ. პოლიციის თანამშრომლების ნაწილი სამმართველოს შენობის გარეთ, ხოლო ძირითადი ნაწილი სამმართველოს ეზოში იმყოფებოდა. ვახტანგ მენაბდე იმის თვითმხილველი გახდა, სრულიად უმიზეზოდ როგორ დაარტყა პოლიციელმა სამჯერ ხელკეტი შენობასთან მდგარ გოგონას. ამ დროს, პოლიციის შენობიდან დაიძრნენ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები, რომელთა ერთ ნაწილს ეცვა შინდისფერი საწვიმარი, მარჯვენა მხარეს მკერდთან წარწერით: "Police" (პოლიცია), მეორე ნაწილს – სამოქალაქო ტანსაცმელი, ხოლო მესამე ნაწილი პოლიციის ფორმებში იყო გამოწყობილი. შენობიდან გამოსულმა სამართალდამცავებმა ვახტანგ მენაბდეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და მოსთხოვეს სამმართველოს შენობის მიმდებარე ტერიტორიის დატოვება. ვახტანგ მენაბდე გაემართა სააპელაციო სასამართლოსკენ იმ ვარაუდით, რომ სწორედ აღნიშნულ მონაკვეთში მოხდებოდა სამართალდამცავებისა და დემონსტრაციულების შეხვედრა. დაახლოებით ათი მეტრში, პატარა ხიდს მიადგა და სწორედ ამ დროს მოესმა, რომ მას სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. უნგარული სიტყვების ავტორმა მას დაარტყა და სხვებსაც მოუწოდა – დაარტყითო. ვახტანგ მენაბდე დარტყმის შედეგად წაიქცა. წაქცეულს სამართალდამცავები შემოხვივნენ და რამდენიმე წუთის განმავლობაში ერთდროულად ურტყამდნენ წიხლებს, რეზინის და ჯობის ხელკეტებს. ცემაში შემოახიერების სახალხო დამცველის საიდენტიფიკაციო უილეტი. პირველი დარტყმის შედეგად ვახტანგ მენაბდეს ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა. დასისხლიანებული პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს და თბილისის შეს მთავარი სამმართველოს შენობაში შეიყვანეს. ერთ-ერთმა პოლიციელმა მას ჯიბიდან საფულე და მობილური ტელეფონი ამოაცალა. საფულე მაშინვე დაუბრუნეს, მობილური ტელეფონი კი აღარ გადაუციათ.

სამმართველოს ფოიეში, სადაც ვახტანგ მენაბდე შეიყვანეს, იატაკზე საპროტესტო აქციის სხვა მონაწილეებიც იწვენენ. პოლიციელებმა მასაც ზურგზე დაწოლა და ხელების თავებზე ამოდება უბრძანეს. სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირები მობილური ტელეფონებით და ფოტოაპარატებით აღნიშნულ სცენას აღბეჭდავდნენ. მოძრაობა „7 ნოემბრის“ აქციისტების დაჩი ცაგურიას და „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრს მიმა მესხს ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ. პირმა, რომელიც ფოტოებს იღებდა, დაჩი ცაგურია იცნო და მიზანმიმართულად ახდენდა მასზე ფიზიკურ ზემოქმედებას.

დაახლოებით 10-15 წუთის შემდეგ ვახტანგ მენაბდე გადაიყვანეს დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც 16-მდე სხვა მომიტინგეც დახვდა. იზოლატორში შესვლამდე ვახტანგ მენაბდემ განაცხადა, რომ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელია და წარუდგინა შესაბამისი მოწმობა. იზოლატორის თანამშრომელმა უთხრა, რომ ყველაფერს გაარკვევდნენ და ფურცელზე მისი პირადი მონაცემები ჩაინირა. ვახტანგ მენაბდე შეიყვანეს ერთ-ერთ საკანში, სადაც უკვე „შესახლებული“ იყო მერაბ ჭიქაშვილი. ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო შედგენილი ვახტანგ მენაბდის დაკავების ოქმი. დაახლოებით 15 წუთის შემდეგ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა ადამიანმა მას განუცხადა, რომ ვახტანგ მენაბდის დაკავებისას პოლიციამ დაუშვა შეცდომა, რის გამოც ბოდიშს იხდიდა. აღნიშნულმა პიროვნებამ ვახტანგ მენაბდე თბილისის შეს მთავარი სამმართველოს შენობის უკანა გასასვლელიდან გამოიყვანა.

2009 წლის 2 ივლისიდან 15 ივლისამდე, დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრ „ვექტორის“ მიერ ჩატარებული ექსპერტიზის №28/ც დასკვნის თანახმად:

„მოქალაქე ვახტანგ მენაბდეს დაუდგინდა ცხვირის ფირფიტოვანი ძვლის მოტეხილობა და მრავლობითი სისხლნაულენთების, ჰემატომებისა და ნაჭდევების არსებობა სხეულზე. ვახტანგ მენაბდეს დაზიანება განვითარებული აქვს რაიმე მკვრივი ბლაგვი საგნის (საგნების) არაერთჯერადი მოქმედებით და მიეკუთვნება მსუბუქი ხარისხის ჯანმრთელობის მოშლას.“

### **3.2. ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის ეფექტურობა**

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ნულოვანი ტოლერანტობის წინააღმდეგ ბრძოლა ერთ-ერთი პირველი მიმართულება იყო პრეზიდენტის №369 ბრძანებულებით განსაზღვრულ სამოქმედო გეგმაში, არც ერთი ზემოთ განხილული საქმე დღემდე არ არის გამოძიებული. აღნიშნულ საქმეთა გარკვეული ნაწილი დახურულია, მეორე ნაწილთან დაკავშირებით გამოძიება დღემდე გრძელდება. 2010 წლის 15 ივნისს ძალის გადამტებულ გამოყენებასთან დაკავშირებით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ რამდენიმე განაცხადი შეიტანა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. სავარაუდო წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ზემოხსენებულ ფაქტებზე პასუხისმგებელი პირების დაუსჯელობა იმაზე მიუთითებს, რომ წამების მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის სახელმწიფო პოლიტიკა რეალურად არ ხორციელდება.

ადამიანის უფლებების 2009 წლის ანგარიშში აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი აღნიშნავს: „დისბალანსს ქმნის ის, რომ სამთავრობო ოფიციალური პირების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები სწრაფად იქნა გამოძიებული და გადაწყვეტილი, მაგრამ იგივე არ შეიძლება ითქვას არასაპარლამენტო ოპოზიციის აქტივისტების მიმართ ჩადენილ დანაშაულზე.“

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ 15 ივნისის ინციდენტში მონაწილე პირები დისციპლინურ პასუხისმგებაში იქნენ მიცემული. მიუხედავად იმისა, რომ დისციპლინური სასჯელი არაა დეკვატურია იმ ქმედებებისა, რაც 2009 წლის 15 ივნისს დემონსტრაცია მიმართ იყო ჩადენილი, უნდობლობა არსებობს თვით ამგვარი დისციპლინური სამართლარმოების პროცედურასთან მიმართებითაც. ასეთი დამოკიდებულება ეფუძნება ინფორმაციის ფარულობას დისციპლინურ სახდელდაკისრებულ პირთა შესახებ.

2008-2009 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიშში აღნიშნულია:

„დისციპლინური წესდებისა და ეთიკის კოდექსზე დაყრდნობით 2008-2009 წლებში გამოყენებული იქნა სხვადასხვა სახის ღონისძიებები შინაგან საქმეთა სამინისტროში 830 შემთხვევაში. შსს-ს გენერალური ინსპექციის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე.“

აღნიშნული ანგარიშის სქოლიობი მითითებულია შესაბამისი ბმული: [http://geninspecia.security.gov.ge/index.php?option=com\\_content&task=view&id=27&Itemid=2](http://geninspecia.security.gov.ge/index.php?option=com_content&task=view&id=27&Itemid=2), სადაც ვხვდებით სტატისტიკურ ინფორმაციას 2008-2009 წლებში შსს-ს თანამშრომლებისათვის დაკისრებული სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიებების, მათ შორის, დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეების თაობაზე. ვებ-გვერდზე არ გვხდება ინფორმაცია დისციპლინური გადაცდომის სახეებთან დაკავშირებით.

მოცემული ანგარიშისათვის ყველაზე რელევანტურ ინფორმაციას შეიძლება წარმოადგენდეს სტატისტიკა პოლიციის ეთიკის კოდექსის, პირველ რიგში კი, მისი 3.6. მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით.

პოლიციის ეთიკის კოდექსის 3.6. მუხლის თანახმად: „პოლიციელმა არ უნდა წამოიწყოს, წააქეზოს ან დაუშვას წამების ან სხვაგვარი სასტიკი ნებისმიერი აქტი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა“.

2010 წლის 4 მარტს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ №გ.04/156-10 განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომლითაც ითხოვდა საჯარო ინფორმაციას 2008-2009 წლებში პოლიციის თანამშრომლების მხრიდან პოლიციის ეთიკის კოდექსის 3.6. მუხლის დარღვევებთან დაკავშირებით, დამრღვევ პოლიციელთა ვინაობის მითითებით.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავის 2010 წლის 4 მარტის საპასუხო №7/2/7-926 წერილში თავი აარიდა 2008-2009 წელს დისციპლინური წესით პასუხისმგებაში მიცემული პირების ვინაობის გამხელას. ჩვენთვის გაუგებარია საფუძველი, რის გამოც არ ხდება 2008-2009 წლების დისციპლინური სამართალნარმოების საქმეების სრული მოცულობით განსაჯაროება.

2008-2009 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში ასევე მითითებულია, რომ ეთიკის კოდექსი მოქმედებს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში. ეთიკის კოდექსი საჯარო მოხელეთა ქცევის რეგულირების საშუალებაა. „სასჯელაღსრულების ორგანოების მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის №151 ბრძანების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება სასჯელაღსრულების ორგანოებში დასაქმებულ ყველა მოსამსახურეზე. იმავე ბრძანების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მოსამსახურის მიერ კოდექსის მოთხოვნების დარღვევა ჩაითვლება სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევად. ამგვარად, ეთიკის კოდექსის დარღვევა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველია.

2008-2009 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიშში აღნიშნულია: „დისციპლინური წესდებისა და ეთიკის კოდექსზე დაყრდნობით 2008-2009 წელს გამოყენებული იქნა სხვადასხვა სახის ღონისძიება. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში 54 შემთხვევაში იქნა გამოყენებული აღმინისტრაციული სახდელი“.

ორგორც აღვნიშნეთ, სასჯელალსრულების ორგანოების თანამშრომლებისთვის ეთიკის კოდექსის დარღვევისთვის პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა და არა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

ადმინისტრაციული სახდელი, როგორც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომა, გამოიყენება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, ასევე, „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 301 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში **მსჯავრდებულთა** მიმართ. მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა არა ადმინისტრაციული სახდელი, არამედ სასჯელალსრულების ორგანოების მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი, ხოლო პასუხისმგებლობის სუბიექტია არა მსჯავრდებული, არამედ სასჯელალსრულების ორგანოს თანამშრომელი. შესაბამისად, შეუძლებელია, სასჯელალსრულების ორგანოს თანამშრომელს ადმინისტრაციული სახის პასუხისმგებლობა დაეკისროს ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევისათვის. აქედან გამომდინარე, 2008-2009 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია, ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის გამოყენებული 54 ადმინისტრაციული სახდელის შესახებ, არ შეიძლება სინამდვილეს შეეფერებოდეს. აღნიშნული დასტურდება საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს 2010 წლის 7 აპრილის №01/1-3168 წერილით, სამოქმედო გეგმის ანგარიშისაგან სრულიად განსხვავებული ინფორმაციით: 2008-2009 წლებში სასჯელალსრულების დეპარტამენტის მიერ ადმინისტრაციული სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

### 3.3. ძალის გამოყენების პატიკული უნარ-ჩვევები

2009 წლის 15 ივნისს ძალის გადამეტებულმა გამოყენებამ და ზემოთ აღნიშნულმა სხვა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებმა კიდევ ერთი პრობლემა გამოავლინა. შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე, სასჯელალსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების სამინისტროს შესაბამის დანაყოფებს არა აქვთ კრიტიკული სიტუაციების მართვის სათანადო უნარ-ჩვევები, რაც ძალის გადამეტების, დაკითხვის, სხვა სახის საპროცესო ან იძულების ღონისძიების განხორციელების დროს არასათანადო მოპყრობის რისკებს მნიშვნელოვნად შეამცირებს.

ხაზგასასმელია შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალისხმევა, რომელიც აღნიშნული გამოწვევის პასუხად იქნა განხორციელებული. 2008-2009 წლების სამოქმედო გეგმის ანგარიშში ამომწურავად არის ჩამოთვლილი ის საგანმანათლებლო აქტივობები, რომლებიც პოლიციაში ძალის გამოყენების ტაქტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისაკენ არის მიმართული:

შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიის სახელმძღვანელო ვრცლად მოიცავს ტაქტიკური ტრენინგის კურსს. აღნიშნული კურსები დეტალურად განიხილავს პოლიციის მიერ ძალის გამოყენების საკითხებს. პოლიციელთა ტრენინგის პროგრამა ასევე მოიცავს პრაქტიკულ კურსებს, დაკითხვის მეთოდებს და არასრულწლოვან დამნაშავეთა ფსიქოლოგიას.

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიაში შემუშავდა სახელმძღვანელო ძალის გამოყენების შესახებ და შესაბამისი ტრენინგ-მოდულები პოლიციის აკადემიის მსმენელთათვის. საგანმოიცავს კურსის 15%-ს და მასში ყურადღება გამახვილებულია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

- ფიზიკური იძულების გამოყენების სამართლებრივი ასპექტები, რაც მოიცავს ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების, ძალის თანმიმდევრულად გამოყენების, გამაფრთხილებელი ზომების მიღების და სხვა საკითხებს. პოლიციის საბაზისო ტრენინგის პროგრამა ითვალისწინებს ადამიანის უფლებების დაცვის ინტენსიურ კურსს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სიცოცხლის უფლებას, პოლიციელების მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლებას.
- ტაქტიკური ტრენინგი მოიცავს ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებას, რომლის გამოყენება მნიშვნელოვანია სახიფათო მდგომარეობის დროს, რისკისა და საფრთხის სწორად შეფასებას, აგრეთვე, ძალის გამოყენების მეთოდებს.
- ცეცხლსასროლი იარაღის და სხვა საშუალებების გამოყენება არის კანონიერი და ეფექტური საშუალებების გამოყენების პრაქტიკული ტრენინგი მომავალი პოლიციელებისათვის. კურსს თან ახლავს იმიტირებული საპოლიციო ოპერაციები. კურსის ბოლოს ტარდება პრაქტიკული გამოცდა. ჩაჭრის შემთხვევაში, სტუდენტი პოლიციელი ვერ გახდება.<sup>13</sup>

პოლიციის სასკოლო კურსს დადებით შეფასებას აძლევს საქართველოს სახალხო დამცველი 2009 წლის პირველი ნახევრის საპარლამენტო მოხსენებაში, რომელშიც აღნიშნულია: „რამდენიმე წლის განმავლობაში სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გადამეტებული ძალის გამოყენების სამართლებრივი

<sup>13</sup> საქართველოში წამების, არაპუმანური, სასტიკი ან პატივისა და დირსების შემდახვი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2008-2009 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში, გვ. 29-30.

საკითხების შესწავლასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას მომავალი პოლიციელებისათვის. პოლიციის აკადემიის სახელმძღვანელო სრულად ასახავს ტაქტიკური ტრენინგის, შიდა კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის კურსს.”<sup>14</sup>

2009 წლის 6 მაისის ინციდენტზე (თბილისის მთავარი სამმართველოს შენობასთან პოლიციის მიერ პლასტიკური და რეზინის ტყვიერის ახლო მანძილიდან სახის მიმართულებით სროლა სავალალო შედეგით დასრულდა – ორმა ადამიანმა ცალი თვალი დაკარგა) დაგვინახა პოლიციის მომზადების საჭიროება ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა „პოლიციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-12 მუხლით გათვალისწინებული სპეციალური საშუალებების გამოყენების ზუსტი ტაქტიკა და ფარგლები.

თუ არასათანადო მოპყრობის საკითხებთან დაკავშირებით პოლიციის მომზადების საერთო მაჩვენებელი მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელია უფლებადამცველებისათვის, რთულია იგივე შეფასების მიცემა სასჯელასრულების დაწესებულების თანამშრომლებთან მიმართებით.

სახალხო დამცველის 2009 წლის პირველი ნახევრის საპარლამენტო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ პატიმრებს მძიმე პირობებში უწევთ ყოფნა, ხოლო ზოგიერთ დაწესებულებაში ადმინისტრაციის თანამშრომლები მათ დამამცირებლად ექცევიან. ანგარიშის მიხედვით, სახალხო დამცველის რწმუნებულებთან საუბარში დაწესებულების თანამშრომლები აგდებით და უხეშად მოიხსენიებდნენ მსჯავრდებულებს და ამბობდნენ, რომ მათ დამცველის მძიმე პირობებში ყოფნა.

სწორედ ეს გარემოება გახდა მიზეზი, რომ სახალხო დამცველმა 2009 წლის პირველი ნახევრის მოხსენებაში რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, რომ სასჯელალსრულების დაწესებულებების ყველა თანამშრომელს ჩაუტარდეს ტრენინგები, როგორც პენიტენციურ სისტემასთან დაკავშირებული საერთაშორისო აქტების თეორიული ცოდნის, ასევე, მათი პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისით.

სახალხო დამცველის 2009 წლის მეორე ნახევრის საპარლამენტო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაციის პასუხად, 2009 წლის 11 დეკემბერს სსიპ სასჯელალსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრიდან მიიღო წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ ზემოხსენებულმა ცენტრმა 2005 წლის 8 ნოემბრიდან 2009 წლის დეკემბრამდე მოამზადა სასჯელალსრულების დაწესებულებების 3350 თანამშრომელი. სასწავლო პროცესი განხორციელდა 16 სპეციალიზირებული პროგრამით.

სახალხო დამცველმა მონიტორინგის შედეგად დაადგინა, რომ ჩატარებული ტრენინგები ვერ აღწევს სასურველ შედეგს შემდეგი გარემოების გამო: თანამშრომლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ, მართალია, დღისით ისინი ტრენინგს ესწრებიან, მაგრამ ლამით მორიგეობა უწევთ და, შესაბამისად, ტრენინგებს დაღლილები და გამოუძინებლები ესწრებიან. გადამზადების პროგრამის მიზეზად სახალხო დამცველი კადრების ხშირ ცვლასაც ასახელებს.

## 4. თავისუფლებაშეზღუდულ პირთა მდგომარეობა

### 4.1. მდგომარეობა სასჯელალსრულების დაწესებულებებში

წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის მიერ 2007 წლის 25 ოქტომბრის ანგარიშში ასახული რეკომენდაციები დღესაც აქტუალურია. სასჯელალსრულების ცალკეულ დაწესებულებებში კვლავ შენარჩუნებულია გადატვირთულობის პრობლემა, სასჯელალსრულების დაწესებულების ჯანდაცვის სისტემა კვლავაც სერიოზულ გამოვლენად რჩება. ბუნდოვანია პატიმართა მიერ უმაღლესი განათლების პროგრამაში ჩართვის საკანონმდებლო საფუძვლები. გრძელვადიანი პაქენების არასებობა სერიოზულ ზემოქმედებას ახდენს პატიმრის პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2009 წელს ადამიანის უფლებების მდგომარეობის თაობაზე ანგარიშში აღნიშნულია, რომ სასჯელალსრულებისა და წინასწარი პატიმრობის ადგილებში კვლავ რთული პირობებია. მაშინ, როდესაც ახლად აშენებული დაწესებულებები აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, მოქმედ ძველ დაწესებულებებში არაპეტური და სიცოცხლისათვის საშიში პირობებია, რაც გულისხმობს გადატვირთულობას, არაადეკვატურ სამედიცინო მომსახურებას, გაუსაძლის სანიტარიული მდგომარეობას.

#### ა) ჯანდაცვა სასჯელალსრულების დაწესებულებაში

2009 წლის 24 თებერვლის ადამიანის უფლებების მდგომარეობის თაობაზე ანგარიშში აღნიშნულია, რომ სასჯელალსრულებისა და წინასწარი პატიმრობის ადგილებში კვლავ რთული პირობებია. სასჯელალსრულების ჯანდაცვის სისტემა ახალი გამოწვევის წინაშე დადგა. საქმეში „პოლოსიანი საქართველოს წინააღმდეგ“ ევროპულმა სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა ან დასჯა) დარღვევა დაადგინა, C ჰეპატიტზე

<sup>14</sup> სახალხო დამცველის 2009 წლის პირველი ნახევრის მოხსენება, გვ.45.

არაადეკვატური მკურნალობის გამო. სასამართლომ აღნიშნა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არ ხდებოდა „აუცილებელი ანალიზების (ცირუსული შემცველობის გაზომვა, ვირუსული გენოტიპის განსაზღვრა ან ბიოსისა) ჩატარება, რაც საშუალებას იძლევა, შეფასდეს ჩასატარებელი თერაპიული მკურნალობა და განკურნების შესაძლებლობა.“<sup>15</sup>

საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში არაადეკვატურ მკურნალობასთან დაკავშირებული იდენტური პრობლემები წამოიჭრა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე „ლავთაძე საქართველოს წინააღმდეგ“. 2009 წლის 3 მარტს გამოტანილი გადაწყვეტილებიდან ნათელი ხდება, რომ პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანა მხოლოდ მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გართულების შემდეგ ხდება. პატიმრის სასყრობილები დაბრუნება კი, ხორციელდება მის სრულ გამოჯანმრთელებამდე, მკურნალი ექიმის თანხმობის გარეშე. სასჯელაღსრულების დაწესებულების ჩვეულებრივ საკანში არ არსებობს სათანადო ამბულატორიული მკურნალობის შესაძლებლობა. სამკურნალო დაწესებულებიდან გადმოყვანილი პატიმრის მოპყრობასთან მიმართებით სასჯელაღსრულების ადმინისტრაციასა და სამედიცინო პერსონალს შორის არ არსებობს კოლაბორაციის არავითარი ხარისხი. კომპლექსურ დაავადებებთან დაკავშირებით, არ არსებობს მრავალმხრივი და კოორდინირებული მკურნალობის გეგმა, რაც საბოლოო ჯამში ინვესტიციასთან არასაკმარის მკურნალობას. მკურნალობის დაყოვნების გამო, C-ჰეპატიტი ქრონიკულ სტადიაში გადადის.<sup>16</sup>

ჯანდაცვის სისტემის სტანდარტების იგნორირების გამო, პენიტენციური ჯანდაცვის სისტემა არაერთხელ გამხდარა სახალხო დამცველის კრიტიკის საგანი. 2007 წლის მეორე ნახევრის საპარლამენტო მოხსენებაში საქართველოს სახალხო დამცველმა პირდაპირ მოითხოვა პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის სისტემა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის რეფულირების სფეროში დაბრუნება.<sup>17</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილებების და სახალხო დამცველის რეკომენდაციების პასუხად, საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 12 ივნისის №301 ბრძანებულებით საქართველოში წამების, არაპუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2008-2009 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ შემუშავდა ზოგადი ჯანდაცვის გეგმა. სასჯელაღსრულების სისტემის ჯანდაცვის აღნიშნული რეფორმა, საქართველოში წამების, არაპუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2008-2009 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიშის შესაბამისად, მიზნად ისახავს სამოქალაქო და სასჯელაღსრულების ჯანდაცვის განხორციელებას. სამინისტროს პრიორიტეტად განისაზღვრა სასჯელაღსრულების ჯანდაცვის სისტემის განვითარება ეროვნული ჯანდაცვის სისტემასთან მიმართებით.<sup>18</sup>

სასჯელაღსრულების ჯანდაცვის სისტემის საერთო ეროვნული ჯანდაცვის სისტემაში მოქცევის ყველაზე ხელშესახებ და მწვავე პრობლემას წარმოადგენს პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება, რაც კიდევ ერთხელ მოხვდა სახალხო დამცველის 2009 წლის მეორე ნახევრის საპარლამენტო მოხსენებაში. სამკურნალო დაწესებულებას, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის შესაბამისად, არა აქვს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე იურიდიული პირის სტატუსი და, ამასთან, არ წარმოადგენს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებას.<sup>19</sup> ეს გარემოება სამკურნალო დაწესებულებას ერთიანი ეროვნული ჯანდაცვის სისტემის მიღმა აქცევს.

სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიშში აღნიშნულია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა საფუძველზე – პოლოსიანი საქართველოს წინააღმდეგ და ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ – 2009 წლის 25 ივნისს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებას. დოკუმენტი ითვალისწინებს 4 მეთოდს: პრევენცია, პაციენტთა სამედიცინო დაწესებულებაში განთავსება, მკურნალობა და მკურნალობის შემდგომი პერიოდები.

2010 წლის 4 მარტს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ №გ-04/154-10 განცხადება გაუგზავნა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, რომლითაც ვითხოვდით შემდეგ ინფორმაციას:

<sup>15</sup> [http://www.justice.gov.ge/files/Documents/adam/Poghossiani\\_sakartvelos\\_cinaagmdeg.phttp](http://www.justice.gov.ge/files/Documents/adam/Poghossiani_sakartvelos_cinaagmdeg.phttp)

<sup>16</sup> [http://www.justice.gov.ge/files/Documents/adam/Ghavtadze\\_sakartvelos\\_cinaagmdeg.pdf](http://www.justice.gov.ge/files/Documents/adam/Ghavtadze_sakartvelos_cinaagmdeg.pdf)

<sup>17</sup> სახალხო დამცველის 2007 წლის მეორე ნახევრის ანგარიში, გვ. 209

<sup>18</sup> საქართველოში წამების, არაპუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2008-2009 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში, გვ. 15

<sup>19</sup> სახალხო დამცველის 2007 წლის მეორე ნახევრის ანგარიში, გვ. 49

1. სამოქალაქო და სასჯელალსრულების ჯანდაცვის სისტემების გაერთიანების, სასჯელალსრულების დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების, საერთაშორისო ჯანდაცვის სისტემის სტანდარტებთან სასჯელალსრულების ჯანდაცვის სისტემის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შემუშავდა თუ არა ჯანდაცვის სტრატეგია;
2. დადებითი პასუხის შემთხვევაში, ვითხოვდით, მოქმედებინათ აღნიშნული სტრატეგია;
3. საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და საქართველოს პრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების ერთობლივი №267-№219 ბრძანების შესაბამისად, 2009 წლის ივლისის თვიდან C ჰეპატიტის რისკ-ჯგუფების გამოვლენის მიზნით, რამდენ პატიმარს და რა პერიოდულობით ჩაუტარდა ტესტირება; ამგვარი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის შესწავლით რამდენ პატიმარს გამოუვლინდა C ჰეპატიტი და რამდენი მათგანი იქნა გადაყვანილი სპეციალურ დაწესებულებაში ანტივირუსული მუურნალობის ჩასატარებლად;

აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით 2010 წლის 11 მარტს საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ გამოგვიგზავნა №01/1-2177 წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ ჩვენს წერილთან დაკავშირებით საჯარო ინფორმაციის გაცემა მოითხოვს ათი დღის ვადას. აღნიშნული ვადის ამონურვის მიუხედავად, პასუხი დღემდე არ მიგვილია.

კიდევ ერთი პრობლემა, რაც წამოიჭრა საქმეში „დავთაძე საქართველოს წინააღმდეგ“, იყო ის, რომ სასჯელალსრულების დაწესებულებაში შეყვანისას პატიმრის სამედიცინო შემოწმებას ფორმალური სახე ჰქონდა. შესაბამისად, პატიმრობის პერიოდში დაავადების გამოვლენის შემთხვევაში, სახელმწიფო მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაემტკიცებინა, რომ პატიმარი დაწესებულებაში შეყვანამდე დაავადდა. სახალხო დამცველის 2009 წლის მეორე ნახევრის საპარლამენტო მოხსენება მეტყველებს იმაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად, ეს პრობლემა ისევ აქტუალურია. წამების საწინააღმდეგო ეკროპულმა კომიტეტმა, ჯერ კიდევ 2007 წელს, რეკომენდაცია მისცა საქართველოს მთავრობას, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, რათა ციხეში შესვლიდან 24 საათის განმავლობაში, თითოეული პატიმარი ციხის სამედიცინო პერსონალმა გასინჯოს. ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევა უნდა იყოს სრული და მოიცავდეს გადამდებრი დაავადებების დიაგნოსტიკას. როგორც სახალხო დამცველი აღნიშნავს, უმრავლეს დაწესებულებაში პატიმართა შესვლისას სამედიცინო შემოწმებას ფორმალური ხასიათი აქვს. ხილვადი დაზიანების გარდა, ექიმი პრაქტიკულად არ ახდენს პატიმრის სხეულის დათვალიერებას.<sup>20</sup>

2009 წლის მეორე ნახევრის სახალხო დამცველის საპარლამენტო მოხსენებიდან ირკვევა, რომ სასჯელალსრულების დაწესებულებებში უმეტესად გამოვლენილ ავადმყოფობებს წარმოადგენს: ტუბერკულოზი, ვირუსული ჰეპატიტები, ქირურგიული პათოლოგიები, თვითდაზიანებები და სხვადასხვა ტრავმა, უცნობი ეტეოლოგიების ცხელება და მწვავე რესპირატორული დაავადებები (სეზონურად).<sup>21</sup>

2009 წლის პირველი ნახევრის საქართველოს სახალხო დამცველის მოხსენების თანახმად, პენიტენციურ სისტემაში სიკვდილის მიზეზი კვლავ ფილტვების ტუბერკულოზი და მისგან განპირობებული ინტოქსიკაციაა. ეს უკანასკნელი, იმავე მიზეზით განვითარებულ სუნთქვის უკმარისობასთან ერთად, სიკვდილის მიზეზი გახდა არაერთ შემთხვევაში (30,3%).

საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის მიერ საიასათვის გამოგზავნილ №10/9/1-5296 წერილში აღნიშნულია:

„გარდაცვალების მიზეზები ძირითადად იყო პოლიორგანული მწვავე უკმარისობა, ფილტვ-გულის მწვავე უკმარისობა, გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა, სუნთქვისა და გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა, ლვიძლისმიერი კომა, მწვავე გულ-ფილტვის უკმარისობა, ლვიძლის მწვავე უკმარისობა, მიუკარდიუმის მწვავე ინფარქტი, ცერებრალური კომა, ფილტვ-გულის მზარდი უკმარისობა, C ჰეპატიტი, სისხლდენა საყლაპავიდან.“

ტუბერკულოზის სამკურნალოდ დროული სამედიცინო დახმარების აღმოუჩენლობის გამო 2009 წლის 19 მაისს პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში გარდაიცვალა მსჯავრდებული გიორგი ტოროშელიძე. ამ უკანასკნელის დის, ინგა ტოროშელიძის განმარტებით, მსჯავრდებულს ტუბერკულოზი დაუდგინეს 2008 წლის დეკემბერში. რუსთავის №2 სასჯელალსრულების დაწესებულების აღმინისტრაციის სახელზე დაწერილი უამრავი მიმართვის მიუხედავად, გიორგი ტოროშელიძე მხოლოდ 2009 წლის 20 იანვარს გადაიყვანეს სასჯელალსრულების დეპარტამენტის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, 2009 წლის 26 თებერვალს კი – პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში. 2009 წლის 19 მაისს გიორგი ტოროშელიძე გარდაიცვალა. აღნიშნულ საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ განაცხადი გააგზავნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში („მაისურაძე საქართველოს წინააღმდეგ“).

<sup>20</sup> სახალხო დამცველის 2007 წლის მეორე ნახევრის ანგარიში, გვ.46.

<sup>21</sup> სახალხო დამცველის 2007 წლის მეორე ნახევრის ანგარიში, გვ. 48.

„ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ“ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, ზემოხ-სენჯული გარემოებები მეტყველებენ, რომ საქართველოს სასჯელალსრულების დაწესებულებებში დროული სამედიცინო დახმარების აღმოჩენა კვლავაც პრობლემად რჩება.

სახალხო დამცველის 2009 წლის მეორე ნახევრის საპარლამენტო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ქალაქ რუსთავის №1 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში, თბილისის მე-7 და მე-8 საპყრობილები, არას-რულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში ირლევე „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მოთხოვნები. არც ერთ დაწესებულებაში არ არის მოწყობილი სამკურნალო სტაციონარული პუნქტი, სადღელამისო სამედიცინო დახმარების გასაწევად.<sup>22</sup>

სახალხო დამცველის აპარატის გათვლებით თვეში თითო პატიმრის მედიკამენტებისათვის გამოყოფილი თანხა სასჯელალსრულების სხვადასხვა დაწესებულებაში 1-დან 3 ლარამდე მერყეობს. სახალხო დამცველს 2009 წლის მეორე ნახევრის მოხსენებაში კი ნათქვამია, რომ სეზონური პნევმონიის ერთვირიანი მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების ღირებულება ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე 50-100 ლარს შეადგენს. „სამედიცინო ნაწილში ამგვარი ძვირადლირებული პრეპარატები ან საერთოდ არ მოიპოვება ან არასაკმარისი რაოდენობითაა. წამლების გარედან შეტანა დამოკიდებულია ადმინისტრაციის კეთილ ნებაზე.“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში – „მოუსელი საფრანგეთის წინააღმდეგ“ – კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ პატიმრობის პირობებში ადეკვატურად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი პატიმრის ჯანმრთელობა შესაბამისი მედიკამენტების მიწოდებით. სასამართლომ საქმეში „ილ-სანი თურქეთის წინააღმდეგ“ განაცხადა, რომ არასაკმარისი მედიკამენტური მკურნალობა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას წარმოადგენს.

## ბ) გადატვირთულობა

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თითო მსჯავრდებულ-ზე საცხოვრებელი ფართის ნორმა შეადგენს 2 მ<sup>2</sup>-ს. წამების სანინააღმდეგო ევროპულმა კომიტეტმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავრობას, რომ ეს ნორმა 4 მ<sup>2</sup>-მდე გაზარდოს. „ადამიანის უფლებების ანგარიშში 2009“ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ პატიმართა რაოდენობა 2009 წლის ბოლოსათვის 21, 239-მდე გაიზარდა. 2008 წლის ბოლოსათვის კი საქართველოს სასჯელალსრულების დაწესებულებაში პატიმართა რაოდენობა მხოლოდ 18, 528-ს აღწევდა.

სახალხო დამცველის 2009 წლის მეორე ნახევრის საპარლამენტო მოხსენებაში სასჯელალსრულების დეპარტამენტის წერილზე დაყრდნობით აღნიშნულია, რომ გადატვირთულობის პრობლემა დგას სასჯელალსრულების შემდეგ დაწესებულებებში: ქალაქ რუსთავის №1 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში, ქალაქ რუსთავის №6 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში, ქსნის №7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში, გეგუთის №8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში, ხონის №9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში, ქალაქ თბილისის №1 საპყრობილები, ქალაქ ბათუმის №3 საპყრობილები, ქალაქ ზუგდიდის №4 საპყრობილები.

2010 წლის 11 მარტს საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების სამინისტროს საიამ გაუგზავნა №გ-04/161-10 განცხადება, რომლითაც მოითხოვა საჯარო ინფორმაცია იმის თაობაზე, თრა სახის ლონისძიებები გატარდა ზემოხსენებულ სასჯელალსრულების დაწესებულებაში გადატვირთულობის აღმოსაფხვრელად და რომელ მათგანშია აღნიშნული პრობლემა გადაჭრილი;

2010 წლის 14 აპრილს მიღებულ სასჯელალსრულების დეპარტამენტის №10/9/1-5296 წერილში აღნიშნულია, რომ სასჯელალსრულების დაწესებულებებში გადატვირთულობის აღმოსაფხვრელად ინტენსიურად ტარდება შესაბამისი ღონისძიებები, რის შედეგადაც მიმდინარე წლის მეორე ნახევრისთვის აღნიშნული პრობლემა სრულად აღმოიფხვრება. 2010 წლის მეორე ნახევარში გადატვირთულობის პრობლემის სრულად მოგვარება საკმაოდ ამბიციური განზრახვაა, მით უმტეს, როდესაც დეპარტამენტის წერილიდან არ ჩანს, რომ ამ დრომდე ჩვენ მიერ მითითებულ ერთ დაწესებულებაში მაინც იყოს გადაჭრილი ეს პრობლემა.

სახალხო დამცველის 2009 წლის მეორე ნახევრის ანგარიშიდან ირკვევა, რომ გადატვირთულობის პრობლემა აქტუალურია ქალაქ თბილისის №1 საპყრობილები, გეგუთის №8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში, ზუგდიდის №4 საპყრობილები, ქალაქ რუსთავის №2 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში, თბილისის №8 საპყრობილები, ქსნის №7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში. ანგარიშში, ასევე, დამატებით აღნიშნულია ის დაწესებულება, სადაც სახალხო დამცველის რჩმუნებულებმა მონიტორინგის შედეგად დააფიქსირებს გადატვირთულობა. ეს არის №10 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება.

წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის 2007 წლის ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია ზუგ-

<sup>22</sup> სახალხო დამცველის 2007 წლის მეორე ნახევრის ანგარიში, გვ. 44.

დიდის №4 საპყრობილები არსებულ გადატვირთულობის პრობლემაზე. ანგარიშში აღნიშნულია: 8 პატიმარი მოთავსებულია 11 მ² საკანში, სადაც 5 საწოლია, 18 პატიმარი მოთავსებულია 20 მ² საკანში, სადაც 12 საწოლია, ხოლო 19 პატიმარი მოთავსებულია 42 მ² საკანში, სადაც 14 საწოლია.<sup>23</sup> აღნიშნულ ანგარიშში კომიტეტი გადატვირთულობის მიზეზად პატიმართა რაოდენობას ასახელებს და აღნიშნავს, რომ გადატვირთულობა უარყოფითად აისახება პატიმრის ცხოვრების ისეთ ასპექტზე, როგორიცაა სანიტარიაზე ხელმისაწვდომობა, გასეირნება, პატიმანი, სატელეფონო ზარები და ა. შ.

წამების საწინააღმდეგო ევროპულ კომიტეტს 2007 წლის საქართველოს ხელისუფლებამ აცნობა, რომ გადატვირთულობის პრობლემას გაუმჯობესდებოდა როგორც პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებით, ასევე, ციხეების რაოდენობის ზრდით.

2007 წლის ანგარიშში საქართველოს მთავრობის განზრახვა, ახალი დაწესებულებების აშენების გზით გადაეჭრა გადატვირთულობის პრობლემა, წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის კრიტიკის საგანი გახდა. ამ გზით პრობლემის მოგვარების თაობაზე სკეპტიკური დამოკიდებულება გამოამჟღავნა საქართველოს სახალხო დამცველმაც 2009 წლის მეორე ნახევრის ანგარიშში. კომიტეტის განმარტებით, საბიუჯეტო რესურსები შეზღუდულია, ხოლო ციხის მშენებლობის გარდა, აუცილებელია კადრების მოზიდვა, მათი გადამზადება. ეს კი დამატებითი საბიუჯეტო ხარჯების გაღებას საჭიროებს. კომიტეტის აზრით, გადატვირთულობის პრობლემა მდგომარეობს „დანაშაულის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკაში. კომიტეტი გამოსავალს შეწყალებებსა და სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის, როგორც უკიდურესი ლონისძიების გამოყენების სტრატეგიაში ხედავს. კომიტეტი, ასევე, ხაზს უსვამს საბოლოო სასჯელის დაწინვნამდე არასაპატიმრო ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას.<sup>24</sup>

კომიტეტის 2007 წლის რეკომენდაციები დღესაც აქტუალურია. საქართველოს სახალხო დამცველი ეთანხმება კომიტეტის პოზიციას და თველის, რომ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის პრიორიტეტი უნდა მიერიქოს თავისუფლების აღკვეთის აღტერნატიულ სასჯელებს. იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ გადატვირთულობა მოიხსნება სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი ცვლილების შეტანის გზით, რომლითაც სასჯელთა შეკრების პრინციპი შეიცვლება შთანთქმის პრინციპით.

## გ) საწინააღმდეგო პირობები

სახალხო დამცველის 2009 წლის პირველი ნახევრის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სასჯელაღსრულების მთელ რიგ დაწესებულებებში ჰიგიენის თვალსაზრისით ძალზე როგორი მდგომარეობაა. „ზოგ დაწესებულებაში არ არის აპანო, სამზარეულოში ანტისანიტარიაა, საკუნძულოში სინესტეა, დაწესებულებაში არიან მღრღნელები და ბალინჯოები (მაგალითად, ქუთაისის №2 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება, ქსნის №7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება).“

ქალაქ რუსთავის №1 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების კარცერში არსებული ვითარება არაა-დამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მანიშნებელია. კარცერის ადგილმდებარეობის გამო (შუაგულეზოში) ტემპერატურა კიდევ უფრო მატულობს, დგება ფერალური მასების სუნი, სიბინძურეა, არ ხდება ვენტილაცია და პატიმრებისათვის სუნთქვა თითქმის შეუძლებელია.“

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს უმოკლეს ვადებში რუსთავის №1 დაწესებულებაში არსებული კარცერის დახურვასთან დაკავშირებით.

2010 წლის 11 მარტს საიამ №გ-04/161-10 განცხადებით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს და მოითხოვა შემდეგი ინფორმაცია:

1. რა სახის ღონისძიებები იქნა გატარებული ქუთაისის №2 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში, ქსნის №7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში არსებული საწინააღმდეგო ჰიგიენური პრინციპით;
2. სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესაბამისად, დაიხურა თუ არა ქალაქ რუსთავის №1 სასჯელაღსრულების დაწესებულების კარცერი.

აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით სამინისტროდან №10/9/1-5296 წერილით შემდეგი პასუხი მივიღეთ, რომ №1 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში ძველი კარცერები არ ფუნქციონირებს. სამინისტრო კვლავ თავს იკავებს დაასახელოს, ჩვენ მიერ მითითებულ დაწესებულებებში (კონკრეტულად ერთში

<sup>23</sup> წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის 2007 წლის ანგარიში, 67-ე პუნქტი, [http://www.cpt.coe.int/documents/geo/2007-42-inf-eng.htm#\\_Toc177181604](http://www.cpt.coe.int/documents/geo/2007-42-inf-eng.htm#_Toc177181604)

<sup>24</sup> წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის 2007 წლის ანგარიში, 32-ე პუნქტი, [http://www.cpt.coe.int/documents/geo/2007-42-inf-eng.htm#\\_Toc177181604](http://www.cpt.coe.int/documents/geo/2007-42-inf-eng.htm#_Toc177181604)

<sup>25</sup> სახალხო დამცველის 2009 წლის მეორე ნახევრის ანგარიში, მე-18 გვ.

მაინც), მძიმე სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად, რაიმე კონკრეტული ღონისძიებები გაატარა თუ არა. სამინისტრო მხოლოდ ზოგადი ხასიათის განმარტებებით შემოიფარგლება: „სასჯელალსრულების დაწესებულებებში რეგულარულად ტარდება კანონმდებლობით დადგენილი სანიტარიულ-ჰიგიენური ღონისძიებები.“ ამგვარი განცხადება არანაირ საფუძველს არ იძლევა დინამიკაში იმ ნაბიჯების შესაფასებლად, რასაც სასჯელალსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო უნდა დგამდეს სახალხო დამცველის მოხსენებაში დასმული პრობლემების გადასაწყვეტად.

ამ თვალსაზრისით, 2008-2009 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიშში უფრო დეტალურად არის აღნიერილი, სასჯელალსრულების დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების მიზნით, რა ღონისძიებები განახორციელა სამინისტრო:

ჰიგიენის თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ მინიმალური მოთხოვნები დაკმაყოფილებულია თავისუფლების შეზღუდვის ყველა დაწესებულებაში. კერძოდ, საპირფარეშოები განცალკევებულია და სანიტარია დაცულია. პატიმრებს კვირაში მინიმუმ ერთი შხაპის მიღების საშუალება აქვთ. 2008 წლის 18 თებერვალს სასჯელალსრულების დეპარტამენტმა, ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფის მიზნით, ხელშეკრულებები გააფორმა რამდენიმე კომპანიასთან. ამ ხელშეკრულების საფუძველზე კომპანიები ვალდებული არიან, პატიმრებს მიაწოდონ: ხელის საპონი, სამეურნეო დანიშნულების სარეცხი საპონი, კბილის ჯაგრისი, ბალიში, პირსახოცი, ზაფხულისა და ზამთრის ტანსაცმელი.<sup>26</sup>

## დ) განათლების უფლება

სახალხო დამცველის 2009 წლის პირველი ნახევრის საპარლამენტო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 2008 წლის 9 დეკემბერს ერთ-ერთმა მსჯავრდებულმა გამოთქვა სურვილი, მიეღო უმაღლესი განათლება. აღნიშნულთან დაკავშირებით, 2008 წლის 29 დეკემბერს სახალხო დამცველმა წერილობით მიმართა სასჯელალსრულების დეპარტამენტის სოციალურ სამსახურს. 2009 წლის 20 იანვარს სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ სახალხო დამცველს აცნობა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სასჯელალსრულების დეპარტამენტის მიერ შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც აქტიურად განაგრძობს საქმიანობას დაწესებულებებში უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფად. წერილში ასევე აღნიშნულია, რომ პატიმრებისათვის უმაღლესი განათლების მიღების და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გასვლის პროცედურა დაზუსტებული არ არის. შესაბამისად, საკანონმდებლო ბაზის არსებობისას ნებისმიერ პატიმარს ექნება შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს ერთიან ეროვნულ გამოცდებში და მიიღოს უმაღლესი განათლება.

სახალხო დამცველის აპარატი დამატებით დაინტერესდა, თუ რა დოკუმენტებშია ასახული აღნიშნული სამუშაო ჯგუფის აქტივობა, რის თაობაზეც 2009 წლის 9 მარტს წერილობით მიმართა სასჯელალსრულების დეპარტამენტსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. სახალხო დამცველს, 2009 წლის პირველი ნახევრის მოხსენებაზე მუშაობისას, აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით პასუხი არც ერთი უწყებიდან არ მიუღია.

სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოთავსებული პირის უფლებაზე – მონაწილეობა მიიღოს ერთიან ეროვნულ გამოცდებში, 2008-2009 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიშშია საუბარი:

„ცვლილებები შევიდა აგრეთვე, ერთიანი, ეროვნული გამოცდების დებულებაშიც, რომლითაც პატიმარს საშუალება ეძლევა, მიიღოს მონაწილეობა მისაღებ გამოცდებში. თუ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების მსურველთა რაოდენობა იძლევა ამის შესაძლებლობას, დაწესებულების ტერიტორიაზე გაიხსნება დამატებითი სექტორი, ხოლო თუ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების მსურველთა რაოდენობა მცირება, მაშინ შესაძლებელია, ბადრაგის თანხლებით პატიმრის დანიშნულების ადგილას მიყვანა გამოცდის ჩაბარებლად.“

ანგარიშის აღნიშნული მონაკვეთის სქოლიობი მითითებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №127 ბრძანების მუხლი №5 (1) (ი).

„ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №127 ბრძანების მე-5 მუხლი მთლიანობაში ეხება სავალდებულო და არჩევით საგნებს, რომლებშიც ერთიანი ეროვნული გამოცდები ტარდება. მე-5 მუხლის პირველ პუნქტის არა აქვს „ი“ ქვეპუნქტი. არც ბრძანების მე-5 მუხლი, არც სხვა ნორმები არ არეგულირებს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი პირის მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების წესს. ერთადერთი რელევანტური ნორმა, რასაც შესაძლოა კავშირი ჰქონდეს ზემოხსენებულ სამართლებრივ ურთიერთობასთან, არის ბრძანების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი, რომელიც საგამოცდო ცენტრში ერთიანი ეროვნული გამოცდების მიმდინარეობისას დასწრების უფლებას ანიჭებს სასჯელალსრულების დეპარტამენტის საბადრაგო სამსახურის თანამშრომელს. მაშინ, როდესაც ბრძანება არაფერს ამბობს თავისუფლებააღკვეთილი პირის უფლებაზე,

<sup>26</sup> 2008-2009 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში გვ. 18.

მონაწილეობა მიიღოს ერთიან ეროვნულ გამოცდებში, გაუგებარი ხდება, სასჯელალსრულების დეპარტამენტის სამსახურის თანამშრომელს რის საფუძველზე ენიჭება ერთიანი ეროვნული გამოცდების მიმდინარეობისას საგამოცდო ცენტრში ყოფნის უფლება.

საქართველოში წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ლირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო საბჭოს წევრმა საიას თავმჯდომარებ თამარ ხიდაშელმა 2010 წლის 1 მარტს №გ-01/109-10 განცხადებით მიმართა საკოორდინაციო საბჭოს, რომელმაც ზემოხსენებული ანგარიში შეადგინა. ასევე, თხოვნით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს დიმიტრი შაშინს, მიეწოდებინათ ინფორმაცია იმის შესახებ, რეალურად დაარეგულირა თუ არა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პატიმრების მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის პროცედურა.

2010 წლის 19 აპრილს გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა მაია მიმინშვილმა საიას №220/10 საპასუხო წერილი გაუგზავნა. გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი აღნიშნავს, რომ საიას განცხადებაში აღნიშნული საკითხი სცილდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის კომპეტენციას და ამიტომ ვერ დარეგულირდება. სასჯელალსრულების დაწესებულების (პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება) ტერიტორიაზე საგამოცდო ცენტრის შექმნა და საგამოცდო ცენტრების ბადრაგირება შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

ამგვარად, გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის წერილით დასტურდება, რომ პატიმრის უფლება – თავისუფლების ალკვეთის აღგილას საგამოცდო ცენტრის დამატებითი სექტორის გახსნის ან ბადრაგირების მეშვეობით, მონაწილეობა მიიღოს ერთიან ეროვნულ გამოცდაში, არ არის განსაზღვრული ერთიანი ეროვნული გამოცდების დებულებით (როგორც ეს, სრულიად უსაფუძვლოდ, საქართველოში წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ლირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2008-2009 წლების სამოქმედო გეგმის ანგარიშშია მითითებული). უფრო მეტიც, გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის აზრით, ამგვარი წესის დადგენის შემთხვევაში, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გასცდებოდა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

მიუხედავად იმისა, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №127 ბრძანებით არ არის განსაზღვრული პატიმრის ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის წესი, გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის №220/10 წერილში აღნიშნულია, რომ №127 ბრძანების მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მიღების საფუძველია აპიტურიენტის წერილობითი განცხადება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის შესახებ. წერილობითი განცხადების შეტანის უფლება აქვს ყველა აპიტურიენტს, მათ შორის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მყოფ პირებს. იმ შემთხვევაში, თუ აპიტურიენტების რაოდენობა ბევრია, საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს თანხმობით, ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შესაძლებელია, გაიხსნას შესაბამისი საგამოცდო ცენტრი სასჯელალსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე. ხოლო მაშინ, თუ აპიტურიენტების რაოდენობა მცირეა, საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შუამდგომლობის საფუძველზე) უზრუნველყოფს სასჯელალსრულების დაწესებულებაში მყოფ პირთა ბადრაგირებას იმ საგამოცდო ცენტრში, რომელიც აპიტურიენტმა წერილობით განცხადებაში მიუთითა. სწორედ ამ გარემოებით ხსნის გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი თავის საპასუხო წერილში 2005 წლის 28 მარტის №127 ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტში არსებულ ჩანაწერს, რომლითაც გამოცდებზე დასწრების უფლება საბადრავო სამსახურის თანამშრომელს ენიჭება.

გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორითავის წერილში მიუთითებს პატიმრების მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მიღების სტატისტიკაზე. კერძოდ, წერილში აღნიშნულია: 2008 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობა მიიღო ერთმა აპიტურიენტმა, რომლის ბადრაგირებაც განხორციელდა და საგამოცდო ცენტრში. 2009 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობდა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მყოფი 7 აპიტურიენტი, რომელთაგან 6-მა ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე მოიპოვა საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის უფლება, მათგან ერთ-ერთმა კი – 70%-იანი სახელმწიფო სასწავლო გრანტი. რაც შეეხება 2010 წელს, გამოცდების ეროვნულ ცენტრში, ინფორმაცია იმის თაობაზე, იმყოფებიან თუ არა აპიტურიენტები სასჯელალსრულების დაწესებულებებში, ცნობილი გახდება 2010 წელს აპიტურიენტთა ბაზის ფორმირების შემდგომ. აღნიშნული რაოდენობის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო მიიღებენ ერთობლივ გადაწყვეტილებას სასჯელალსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე საგამოცდო ცენტრის გახსნის თაობაზე.

გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი მიუთითებს იმ საკანონმდებლო აქტებზე, რომლებიც მისი განმარტებით პატიმრის ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის უფლებას ითვალისწინებს. ეს საკანონმდებლო აქტებია: საქართველოს კონსტიტუცია, პატიმრობის კოდექსი (2010 წლის 9 მარტამდე „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონი) და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

არც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მე-3 ნაწილით და არც პატიმრობის ახალი კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრულ უფლებათა კატალოგში პირდაპირ არ არის გათვალისწინებული თავისუფლებაალკვეთილი პირის უმაღლესი განათლების უფლება. სისხლის სამართლის კოდექსის 136-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, კანონმდებლის დუმილი უნდა განიმარტოს დაკავებულის, დაპატიმრებულის და საექსპერტო დაწესებულებაში მოთავსებული პირის უმაღლესი განათლების უფლების სასარგებლოდ, რადგან ნორმაში აღნიშნულია, რომ შეზღუდვები, რომლებიც დაკავშირებულია დაკავებული, დაპატიმრებული ან სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსებული პირის ყოფნის რეჟიმთან, **დგინდება კანონით**. ვინაიდან კანონმა პირდაპირი შეზღუდვა არ დააწესა ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით, ივარაუდება, რომ დაკავებულ, დაპატიმრებულ და ექსპერტიზისათვის მოთავსებულ პირს აქვს ეს უფლება. რაც შეეხება მსჯავრდებულს, ახალი პატიმრობის კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თავისუფლების ალკვეთის აღსაზღულებისას გარანტირებული აქვს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული უფლებები და თავისუფლებები. უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უფლება კი, საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლით არის აღიარებული.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „მესინა იტალიის წინააღმდეგ“ განაცხადა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის საფუძველზე დაკისრებული კანონიერი პატიმრობა მოიცავს ცალკეულ შეზღუდვებს ადამიანის უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2009 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ განაცხადა, რომ თავისუფლების აღსაზღულებისათვის დაკავშირებული სასჯელი ყველა შემთხვევაში იწვევს სირთულესა და დისკომფორტს, რაც გამოიხატება მთელი რიგი უფლებებითა და თავისუფლებით სარგებლობის შეზღუდვაში. დაპატიმრებული პირი ვალდებულია, ეს მოითმინოს მაშინ, როდესაც დაცულია **განსაზღვრული სტანდარტები**.

თავისუფლების აღსაზღულების აღსაზღულებისთვის არსით გულისხმობს განსაზღვრული ძირითადი უფლებების შეზღუდვას, გარდა ისეთი უფლებებისა, როგორიცაა: სიცოცხლის უფლება, ნამების, სხვა სასტიკი, არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელისაგან დაცვის უფლება, მონობის აკრძალვა. თავისუფლების აღსაზღულების დროს უფლებების საკმაოდ დიდი ნაწილი ხორციელდება არაორდინალური, ზოგადისაგან განსხვავებული წესით, რაც განპირობებულია თავისუფლების შეზღუდვის თავისებურებებით. ამ კონტექსტში ძირითადი უფლებების მოქმედების ფარგლები დადგენილი უნდა იყოს თავისუფლების აღსაზღულების შეხებაში მყოფი ნორმატიული აქტებით.

მატერიალური თვალსაზრისით, თავისუფლებაალკვეთილი პირებისათვის უმაღლესი განათლების უფლების დეკლარება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ არსებობს მისი სრულყოფილი რეალიზების შესაძლებლობა. პატიმრობის კონტექსტის გათვალისწინებით, განსაზღვრული უფლებების რეალიზებისათვის ხშირად აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური ღონისძიებების განხორციელება. ზოგადი ნორმატიული ასპექტები, რაც ადვილად რეალიზდება ჩვეულებრივ შემთხვევაში, ხშირად გაძოვუსადეგარია თავისუფლების აღსაზღულების პირობებში. ამიტომ საჭიროა, პატიმრების მიმართ ნორმატიულ დონეზე მოხდეს უმაღლესი განათლების უფლების რეალიზაციისათვის დაკავშირებული პროცედურის რეგლამენტიცია.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, დაკავებულ, დაპატიმრებულ ან სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსებული პირის მიმართ დაწესებული უნდა იყოს ისეთი შეზღუდვები, რაც აუცილებელია მისი გაქცევის თავიდან ასაცილებლად. პატიმრისა და მსჯავრდებულის უმაღლეს განათლებაზე უფლების განხორციელებამ შესაძლოა წარმოშვას თავისუფლებაალკვეთილი პირის გაქცევის თავიდან აცილების და რეჟიმის დაცვის საკითხები. აღნიშნულ ინტერესებზე დაყრდნობით, სასჯელაღსრულების ადმინისტრაციას ყოველთვის ექნება იმის შესაძლებლობა, შეზღუდოს პატიმრის მონაწილეობა ერთიან ეროვნულ გამოცდებში, თუკი არ იარსებებს თვითნებობისაგან დაცვის ადეკვატური პროცედურული გარანტიები. პატიმრების მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის სპეციალური წესის ნორმატიული განსაზღვრა, თუნდაც იმ სახით, როგორც ეს სამოქმედო გეგმის ანგარიშსა და ეროვნული საგამოცდო ცენტრის დირექტორის წერილშია ასახული, სასჯელაღსრულების თვითნებობისაგან დაცვის რეალური გარანტია.

მიუხედავად გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისათვის წარდგენილი სტატისტიკისა, მაინც დგას ნორმატიული აქტის მიღების აუცილებლობა. ეს უკანასკნელი მართალია მიუთითებს იმაზე, რომ განსაზღვრული რაოდენობის პატიმრები 2008-2009 წლებში სარგებლობდნენ ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის შესაძლებლობით, თუმცა აღნიშნული პრაქტიკა ვერ დაავალდებულებს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და გამოცდების ეროვნული ცენტრს მომავალშიც უზრუნველყონ პატიმრები და მსჯავრდებულები ანალოგიური შესაძლებლობით.

იმისათვის, რომ დაცული იყოს საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლით გარანტირებული უფლება უმაღლეს განათლებაზე, საქართველოს ხელისუფლება დგება გარდაუგალი აუცილებლობის წინაშე, რომ მიიღოს პატიმართა და მსჯავრდებულთა ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის სპეციალური წესის დამდგენი ნორმატიული აქტი. სასჯელალსრულების დაწესებულებაში საგამოცდო ცენტრის მოწყობა ან პატიმრის ბადრაგირება იმ საგამოცდო ცენტრში, რომელიც მითითებულია აბიტურიენტის განცხადებაში, განისაზღვრება, როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (უწყება, რომელიც პასუხისმგებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების ორგანიზებაზე), ისე სასჯელალსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების სამინისტროს (უწყება, რომლის დაქვემდებარებაში არსებულ დაწესებულებაშიც ხდება თავისუფლების აღკვეთის მოხდა) კომპეტენციით.

„მთავრობის სტრუქტურისა და საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თუ საკითხი მიეკუთვნება რამდენიმე სამინისტროს გამგებლობის სფეროს და განსაზღვრული არ არის გადაწყვეტილების მიმღები სამინისტრო, მაშინ გადაწყვეტილებას იღებს მთავრობა.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, საქართველოს საკანონმდებლო აქტით, პრეზიდენტისა და მთავრობის ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ნორმატიული აქტების მიღების (გამოცემის) უფლებამოსილების მქონე ორგანოებმა შეიძლება მიიღონ (გამოსცენ) ერთობლივი ნორმატიული აქტი.

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობამ ან უნდა გამოსცეს დადგენილება, რომლითაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასევე, სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს მიეცემათ უფლებამოსილება, ერთობლივი ბრძანებით დაადგინონ პატიმართა და მსჯავრდებულთა მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების სპეციალური წესი, ან ეს უკანასკნელი თავად დაადგინოს.

### ვ) პატიმართა და მსჯავრდებულთა პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება

2006 წლის 28 აპრილს „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რის შედეგადაც გაუქმდა მსჯავრდებულთა ხანგრძლივი პაემნის უფლება. მნიშვნელოვნად შემცირდა ხანმოკლე პაემნების ხანგრძლივობა.

წამების სანინააღმდეგო ევროპულმა კომიტეტმა 2007 წლის ანგარიშში გაკვირვება გამოხატა იმ გარემოებით, რომ 2007 წლის ვიზიტის დროს მათ მიერ გამოკითხულმა ასობით პატიმარმა დაიჩივლა, რომ შეუძლებელი იყო ოჯახთან ადეკვატური კავშირის შენარჩუნება. კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს მთავრობას, რომ მსჯავრდებულებს გარესამყაროსთან კონტაქტის ერთნაირი შესაძლებლობა ჰქონდეთ. კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, შეცვალოს კანონმდებლობა პაემნების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, გაითვალისწინოს მისი შენიშვნები და მხედველობაში მიიღოს გადამუშავებული ევროპული ციხის წესები.<sup>27</sup>

სახალხო დამცველის 2009 წლის პირველი ნახევრის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ პატიმრობის კოდექსი ითვალისწინებს გრძელვადიანი პაემნების აღდგენის შესაძლებლობას. თუმცა, როგორც სახალხო დამცველისათვის გახდა ცნობილი, სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი გამოვიდა ინიციატივით, რომ მსჯავრდებული, რომელიც სანიმუშოდ იქცევა, ისარგებლოს შევებულებით. სახალხო დამცველის აზრით, აღნიშნული ცვლილება მისასალმებელია, თუმცა, არსებობს საფრთხე, რომ ეს დარჩება ფორმალურ ცვლილებად და მსჯავრდებულების უმტესი ხაზილი ვერ ისარგებლებს შევებულებით. შესაბამისად, სახალხო დამცველის აზრით, ეს უფლება ვერ უზრუნველყოფს გრძელვადიანი პაემნის უფლებით მისაღწეუ მიზანს. სახალხო დამცველი არ აღიქვამს მსჯავრდებულთა შევებულებას გრძელვადიანი პაემნის ალტერნატივად. სახალხო დამცველის პოზიციას იზიარებს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

შევებულება, რომლის ლეგალური სახელწოდებაც ასეთია – „სასჯელალსრულების დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება“, „პატიმრობის შესახებ“ მოქმედ კანონშიც გათვალისწინებულია, ძალაში შევიდა 2009 წლის სექტემბრიდან.

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 49<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მსჯავრდებულს, თუ მას განსაზღვრული აქვს სასჯელის მოხდა საერთო ან მკაფიო რეზიმის დაწესებულებაში და მის მიმართ არ მოქმედებს დისციპლინური ან ადმინისტრაციული პატიმრობა, კანონით დადგენილი წესით უფლება აქვს, ისარგებლოს წელინადში ორგერსასჯელალსრულების დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით. სასჯელალსრულების დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს, რომელშიც შედის მსჯავრდებულის დანიშნულების ადგილამდე მგზავრობის დროც. მსჯავრდებულის სასჯელალსრულების დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლა ფორმდება დეპარტამენტის თავმჯდომარის

<sup>27</sup> წამების სანინააღმდეგო ევროპული კომიტეტის 2007 წლის ანგარიში, 90-ე პუნქტი, [http://www.cpt.coe.int/documents/geo/2007-42-inf-eng.htm#\\_Toc177181604](http://www.cpt.coe.int/documents/geo/2007-42-inf-eng.htm#_Toc177181604)

ბრძანებით. იმავე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად: სასჯელალსრულების დაწესებულების გარეთ ხან-მოკლე გასვლის შეუადგომლობის განხილვისას დეპარტამენტის თავმჯდომარეს შეუძლია გამოიყენოს შემ-დეგი უზრუნველყოფის ღონისძიები: გირაო, არანაკლებ 2000 ლარისა, პირადი თავდებობა, ელექტრონული კონტროლის (მონიტორინგის) საშუალება.

იმ საკითხის გასარკვევად, თუ რამდენად გამოიყენება პრაქტიკაში „სასჯელალსრულების დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება“, 2010 წლის 11 მარტს საიამ №გ-04/161-10 განცხადებით მიმართა საქა-რთველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს. საიამ მოითხოვა შემდეგი ინფორმაცია:

2009 წლის 1 სექტემბრიდან რამდენმა მსჯავრდებულმა ისარგებლა სასჯელალსრულების დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით, 2010 წლის 1 იანვრიდან რამდენჯერ იქნა გამოყენებული სასჯელალ-სრულების დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უზრუნველყოფის ღონისძიები - გირაო და პირადი თავდებობა.

აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით სამინისტროს საპასუხო №10/9/1-5296 წერილში აღნიშნულია: „სასჯელალსრულების დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით 2009 წლის პირველი სექტემბ-რიდან 31 დეკემბრამდე ისარგებლა შვიდმა, ხოლო 2010 წლის იანვრიდან 2010 წლის 12 აპრილამდე ექვსმა მსჯავრდებულმა“. უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებით წერილში არაფერია ნათქვამი.

მისასალმებელია ის გარემოება, რომ სასჯელალსრულების დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება პრაქტიკულადაც ხორციელდება. აღნიშნული გარემოება უდავოდ ხელს შეუწყობს მსჯავრდებულ-თა ოჯახური კავშირების შენარჩუნებას და მათი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დაცვას.

პატიმრობის ახალმა კოდექსმა, რომელიც 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდება, სუბიექტების თვალსაზ-რისით შეზღუდული სახით აღადგინა ხანგრძლივი პაემნის უფლება. აღნიშნული კანონის მე-17 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, ტერმინი „არასრულნლოვანი“ ხანგრძლივი პაემნის ცნების შემადგენელ ნაწილადაც კია ქცეული:

„ხანგრძლივი პაემანი არის **არასრულნლოვანი** მსჯავრდებულის 1-დან 2 დღე-ლამემდე ვადით ახლო ნათე-სავებთან ერთად ცხოვრება თავისუფლების აღვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე, ამისთვის სპეციალუ-რად გამოყოფილ ოთახში, ადმინისტრაციის ნარმომადგენლის დაუსწრებლად.“

ამგვარად, 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ხანგრძლივი პაემნის უფლება მხოლოდ არასრულნლოვან მსჯავრდე-ბულებს ექნებათ.

სახალხო დამცველი 2009 წლის პირველი ნახევრის მოხსენებაში იმოწმებს „პატიმრობის შესახებ“ საქართ-ველოს კანონს, რომლის თანახმად: „სასჯელალსრულების დაწესებულებაში ხდება რადიოსა და ტელევიზიის ტრანსლაცია, მსჯავრდებულთათვის რეჟიმით გათვალისწინებული შეზღუდვების შესაბამისად, მათ შეი-ძლება ჰქონდეთ პირადი რადიომიმღები, ტელევიზორი, ვიდეო ან აუდიო მაგნიტოფონი, საბეჭდი საშუალება თუ მათი გამოყენება არ არღვევს დაწესებულების შინაგანაწესს და სხვა მსჯავრდებულთა სიმშვიდეს.“ №7 და №8 საპყრობილები, ასევე, რუსთავის №6 საპყრობილები პატიმრები ვერ სარგებლობენ ამ უფლებით. №8 საპყრობილები მხოლოდ რადიომიმღები აქვთ, ხოლო მე-7 საპყრობილები არსებული ტელევიზორები გად-მოიცემა DVD ფლეერით. რუსთავის მე-6 დაწესებულებაში ტელევიზორებით და რადიოებით მხოლოდ უვადო თავისუფლებააღვეთილი პირები სარგებლობენ.

სახალხო დამცველის მეორე ნახევრის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ №7 სასჯელალსრულების დაწესებ-ულებაში მოთავსებული შესაბამისი პირები უზრუნველყოფილი არიან რადიოთი და ტელევიზორით. თუმცა, რეკომენდაცია კვლავ შეუსრულებელი რჩება თბილისის №8 და რუსთავის №6 დაწესებულებების ნაწილში.

2010 წლის 11 მარტს საიამ №გ-04/161-10 განცხადებით მიმართა სასჯელალსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების სამინისტროს და მოითხოვა შემდეგი ინფორმაცია:

სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესაბამისად, მიეცათ თუ არა ქალაქ თბილისის №7 და №8 საპყრო-ბილები მოთავსებულ პირებს და რუსთავის №6 საპყრობილები განსაზღვრული ვადით მყოფ მსჯავრდებუ-ლებს ტელევიზორისა და რადიომიმღებით სარგებლობის შესაძლებლობა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისათვის გამოგზავნილ №10/9/1-5296 წერილში სამინის-ტრომ არ გასცა პასუხი კითხვას №8 და №6 დაწესებულებებში ტელევიზორითა და რადიოთი სარგებლობის შეზღუდვასთან დაკავშირებით და მხოლოდ ზოგადი განმარტებით შემოიფარგლა:

„ტელევიზორის, რადიომიმღების და სხვა საშუალებების მიღება-გამოყენება სასჯელალსრულების ყველა დაწესებულებაში ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

#### **4.2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლაციურები**

წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ევროპული კომიტეტი (შემდგომში „კომიტეტი“) 2007 წლის 21 მარტიდან 2 აპრილმდე საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა. 2007 წლის 2-6 ივლისს 63-ე შეხვედრაზე დამტკიცებული იქნა საქართველოსთან დაკავშირებული ანგარიში.

ანგარიშის მეორე თავი ეხება იმ მიღწევებსა და პრობლემებს, რაც საყოფაცხოვრებო პირობების კუთხით არსებობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ დაწესებულებებში. დროებითი მოთავსების იზოლაციურებთან დაკავშირებით კომიტეტმა საქართველოს მთავრობას შემდეგი რეკომენდაცია მისცა:

„აღნიშნული ძალისხმევის კონტექსტში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი სტანდარტები: თითოეული თავისუფლებაალკვეტილი პირი უზრუნველყოფილი უნდა იყოს 4 კვადრატული მეტრის ფართით, ადგივატური განათებით (სასურველია ბუნებრივ სინათლეზე მისაწვდომობა), საკნების ვენტილაციითა და გათბობით, სუფთა ლეიბებითა და საბნებით, საკვები უნდა მიეწოდოს საკვების მიღების ნორმალურ დროს. ნებისმიერ პირს, რომელიც 24 საათზე მეტ სანს რჩება დაწესებულებაში, უნდა მიეცეს შხაპის მიღების, გარეთ ვარჯიშისა და აუცილებელი პირადი ჰიგიენური საგნებით, ასევე, წიგნებით, გაზეთებითა და ა.შ. სარგებლობის შესაძლებლობა. ზემოხსენებული მოთხოვნები განსაკუთრებულად უნდა იქნეს გამოყენებული ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირების მიმართ, რომლებიც 30 დღეს ატარებენ დროებითი მოთავსების იზოლაციურში.“

2010 წლის 8 იანვარს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ №გ-04/88-2010 განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომლითაც მოითხოვა შემდეგი ინფორმაცია:

1. რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე რეგულირდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლაციონი ადმინისტრაციული ნესით პატიმრობაში ყოფის პერიოდში პირის გასეინების უფლება;
2. რომელი ნორმატიული აქტით რეგულირდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლაციონი მყოფი პატიმრის ცხოვრებისა და პირადი ჰიგიენის პირობები;
3. არიან თუ არა ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირები უზრუნველყოფილი უურნალ-გაზეთებით. დადებითი პასუხის შემთხვევაში, მოვითხოვეთ იმ ნორმატიულ აქტზე მითითება, რომელიც ამგვარ ურთიერთობას არეგულირებს.

2010 წლის 8 თებერვალს საიაში შემოვიდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს №7/2/7-523 წერილი, რომლითაც გვეცნობა, რომ დროებითი მოთავსების იზოლაციონების შინაგანაწესი რეგულირდება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლაციონების ტიპიური დებულების, იზოლაციონების შინაგანაწესის და იზოლაციონების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის №108 ბრძანებით.

ამგვარად, საიას მიერ 2010 წლის 8 იანვარს წერილის გაგზავნის მომენტისათვის დროებითი მოთავსების იზოლაციონებში თავისუფლების აღკვეთის სტანდარტების მომწერიგებელი ნორმები ჯერ კიდევ არ იყო მიღებული. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ აღნიშნული წერილი აქტის გამოთხოვნის თაობაზე წერილი სახალხო დამცველმაც გააგზავნა 2009 წლის 24 სექტემბერს.

აღნიშნული ბრძანების მიღება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ადმინისტრაციული პატიმრობის მოხდა ხდება შსს-ს დორებითი მოთავსების იზოლაციონებში. საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ადმინისტრაციული პატიმრობის მოხდის პირობებს. კერძოდ კი, ისეთ საკითხებს, როგორიცაა: რამდენი კვადრატული მეტრის ფართში უნდა მოიხადოს ადამიანმა ადმინისტრაციული პატიმრობა. კანონი, ასევე, არ განსაზღვრავს ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირის უფლებას პირადი ჰიგიენის დაცვაზე, გარეთ გასეირნების უფლებაზე. ამ საკითხების კანონით გაუთვალისწინებლობა ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირი ვერ ისარგებლებს ზემოხსენებული უფლებებით და პატიმრობის ადეკვატური პირობების შექმნა შინაგან საქმეთა სამინისტროს კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული.

მინისტრის №108 ბრძანება არის ტერმინოლოგიურად გაუმართავი, რაც სამართლებრივი ცნებებისა და ინსტიტუტების აღრევას იწვევს. პრაქტიკაში ამ დებულებებმა შესაძლოა, გაუგებრობა გამოიწვიოს, შესაბამისად, ისინი დაუყოვნებლივ გამოსწორებას საჭიროებს:

ბრძანების მე-3 დანართის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გასეირნება შესაძლებელია ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებული იმ პირებისათვის, რომლებსაც განსაზღვრული აქვთ ადმინისტრაციული პატიმრობა ადმინისტრაციული სახდელის სახით, არანაკლებ 15 დღის ვადით. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად:

გასასეირნებლად ერთდროულად გაჰყავთ არაუმეტეს 3 დაკავებული პირი, რომელიც ადმინისტრაციულ პატიმრობას ერთსა და იმავე დანაშაულის ჩადენისთვის არ იხდიან.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 141-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა, რომელიც გამოიყენება, თუ არსებობს საქმაო საფუძველი ეჭვი მითანონ პირზე იმ დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით, მისი დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთის, გაქცევის, დამალვის ან მტკიცებულებათა მოსპობის თავიდან ასაცილებლად. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით ადმინისტრაციული წესით დაკავება არ გრძელდება 3 საათზე მეტ ხანს. № 108 ბრძანების სუბიექტი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული დაკავებული კი არ არის, არამედ ადამიანი, რომელსაც სასამართლო ადმინისტრაციული სახდელის სახით განუსაზღვრა ადმინისტრაციული პატიმრობა არანაკლებ 15 დღისა. შესაბამისად, გასეირნების უფლებასთან მიმართებით ტერმინ „დაკავებულის“ გამოყენება არამართებულია.

არასწორია, ასევე, ტერმინ „დანაშაულის“ გამოყენება. არანაკლებ 15 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობა ინიშნება არა დანაშაულისათვის, არამედ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის, ქმედებისთვის, რაც გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის განსაკუთრებული ნაწილით.

მინისტრის ბრძანებაში არ არის გათვალისწინებული 15 დღეზე მეტი ვადით ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირის ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის უფლება. 90 დღემდე ის მოკლებულია შესაძლებლობას, შეხვდეს ოჯახის წევრებს, ვინაიდან კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ამგვარ უფლებას. 90 დღის ხანგრძლივობით ოჯახური კავშირების განწყვეტა წარმოადგენს პირად და ოჯახურ ცხოვრებაში არათანაზომიერ ჩარევას, რითაც ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი.

№ 108 ბრძანების გამოცემით შინაგან საქმეთა მინისტრი გასცდა თავისი უფლებამოსილების ფარგლებს. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „ი“ ქვეპუნქტების შესაბამისად, მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტებით შეიძლება განისაზღვროს შემდეგი საკითხები: ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისა და დაცვის პირობები და წესი, იურიდიული პასუხისმგებლობისა და იძულების ზომის გამოყენების საკითხები, ადმინისტრაციული, ადმინისტრაციული საპროცესო, სასჯელადსრულების კანონმდებლობა. იმავე კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით კი, საქართველოს საკანონმდებლო აქტების სახეებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი, საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი. მინისტრის ბრძანება არ ჯდება ამ ჩამონათვალში და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს წარმოადგენს. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება (გამოცემა) შეიძლება მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში, მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით. კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში მითითებული უნდა იყოს, რომელი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად იქნა მიღებული (გამოცემული) იგი.

არ შეიძლება, პატიმრობისას არასათანადო მოპყრობის მიმართ გარანტიები დამოკიდებული იყოს იმ სუბიექტზე, რომლის მიერ უშუალოდ განსახორციელებელი საქმიანობისთვისაც მოითხოვება აღნიშნული გარანტიები. ადამიანის ძირითადი უფლებების უზრუნველყოფის ვალდებულებებისაგან გასათავისუფლებლად, შესაბამის სუბიექტს ყოველთვის ექნება იმის შესაძლებლობა, რომ გაუქმოს მის მიერვე დაწესებული გარანტიები. ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვის სტანდარტების სიმყარისათვის, აუცილებელია, ეს უკანასკნელი დაწესებული იყოს არა აღმასრულებელი, არამედ საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ. ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვის ინტერესები ამ დროს მჭიდროდ არის დაკავშირებული ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან.

2010 წლის 4 თებერვალს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მოძრაობის „რატომ“ აქტივისტის, მერაბ ჭიქაშვილის სახელით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა. დავის საგანს წარმოადგენს ის საკითხები, რომლებიც ნაწილობრივ დარეგულირებულია შინაგან საქმეთა მინისტრის № 108-ე ბრძანებით. საკონსტიტუციო სარჩელში აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციული პატიმრობა 90 დღემდე ვადით, მაშინ როცა საკანონმდებლო აქტით არ არის მოწესრიგებული თითო პირზე ადმინისტრაციული პატიმრობის მოსახდელად გამოყოფილი ფართის მინიმალური ზომა, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, გასეირნების უფლება, ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის უფლება, წარმოადგენს არადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას (კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი) და არღვევს პირადი ცხოვრების უფლებას (მე-20 მუხლის პირველი პუნქტი).

#### **4.3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ჰაუპტვახტებში დაკავებულთა მოთავსების აღრიცხვის დახვეწა და ელექტრონული ბაზის შექმნა**

საქართველოში წამების, არაპუმანური, სასტიკი ან პატივისა და ლირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2008-2009 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე 2008 წლის 12 ივნისის საქართველოს პრეზიდენტის №301 ბრძანებულების შესაბამისად, თავდაცვის სამინისტროს განესაზღვრა შემდეგი სამუშაოს შესრულება: თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში დაკავებულთა მოთავსების, რეგისტრაციის, აღრიცხვის შემდგომი დახვეწა და შესაბამისი ელექტრონული ბაზის შექმნა.

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისათვის 2009 წლის 26 მარტს გაგზავნილი №8/1927 ნერილიდან ირკვევა: „სამსედრო პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურულ დანაყოფებში არსებულ ჰაუპტვახტებში მოთავსებულთა რეგისტრაცია და აღრიცხვა ხორციელდება ამჟამად მოქმედ ადმინისტრაციულ ჰატიმრობაშეფარდებულ მოსამსახურის ან ადმინისტრაციული წესით დაკავებულის მიღებისას, იმავე სქესის პირის მიერ წარმოებს მისი პირადი გასინჯვა. ამ დროს ჰაუპტვახტებში განთავსებულის თანდასწრებით სარეგისტრაციო წიგნში ფიქსირდება მისი სამსახურებრივი მონაცემები, სამედიცინო შემოწმების შედეგი (დასკვნა), შესანახად ჩამორთმეული (ჩაბარებული) წიგნებისა და დოკუმენტების ჩამონათვალი, ჩაბარებული ფულის ოდენობა, პატიმრობის საფუძვლები, ვადა – მისი გათავისუფლების ან სასჯელაღსრულების ორგანოებისათვის გადაცემის შესახებ. ხსენებულ წიგნში შეტანილი მონაცემების სიზუსტე დასტურდება ამავე წიგნში ადმინისტრაციულ ჰატიმრობაშეფარდებული მოსამსახურის ხელმოწერით.“<sup>28</sup>

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2009 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ელექტრონული ბაზის შესაქმნელად არაფერს აკეთებდა და დაკავებულ პირთა აღწერას „ტრადიციული“ წესით ახორციელებდა.<sup>29</sup>

აღნიშნული მდგომარეობა დღემდე უცვლელია. თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ ჰაუპტვახტებში ამ დრომდე არ შექმნილა ელექტრონული აღრიცხვის სისტემა, რაზეც მეტყველებს 2008-2009 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების საკონრდინაციო საბჭოს ანგარიში, სადაც აღნიშნულია:

„თავდაცვის სამინისტროს ჰაუპტვახტებში ფუნქციონირებდა რამდენიმე აღრიცხვის უურნალი, რაც იწვევდა უზუსატობებს. ამჟამად პროცედურა გამარტივდა და ჰაუპტვახტებში მოთავსებულთა აღრიცხვა-რეგისტრაცია ხორციელდება ჰატიმრობაშეფარდებულ მოსამსახურეთა სარეგისტრაციო წიგნში.“<sup>30</sup>

აღნიშნული ანგარიში ადასტურებს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არ შეუსრულებია საქართველოს პრეზიდენტის №301 ბრძანებულებით დაკავებული ვალდებულება, 2008-2009 წლებში შექმნა დაკავებულთა მოთავსების, რეგისტრაციის, აღრიცხვის ელექტრონული ბაზა.

#### **4.4. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება**

2008 წლის 12 ივნისის „საქართველოში წამების, არაპუმანური, სასტიკი ან პატივისა და ლირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2008-2009 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის №301 ბრძანებულების შესაბამისად, უნდა მომხდარიყო კლიპების დამზადება ძირითადი გარანტიების თაობაზე (ადვოკატის ყოლის უფლება, სამედიცინო შემოწმებისა და ახლობლებთან დაკავშირების უფლება). აღნიშნული საქმიანობის შესრულებაზე ჰასუხისმგებელ უწყებად საქართველოს პრეზიდენტის №301 ბრძანებულებით მითითებული იყო ყოფილი გენერალური პროკურატურა და საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

საქართველოში წამების, არაპუმანური, სასტიკი ან პატივისა და ლირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2008-2009 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიშში აღნიშნულია:

„ნამების წინააღმდეგ კამპანია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით ... ხორციელდება სხვადასხვა მეთოდებით, როგორიცაა საგანმანათლებლო ღონისძიებების, მედიისა და დაბეჭდილი მასალების გამოყენება.“

<sup>28</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2009 წლის საქართველოში წამების, არაპუმანური, სასტიკი ან პატივისა და ლირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2008-2009 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში გვ.23

<sup>29</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2009 წლის საქართველოში წამების, არაპუმანური, სასტიკი ან პატივისა და ლირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2008-2009 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში

<sup>30</sup> საქართველოში წამების, არაპუმანური, სასტიკი ან პატივისა და ლირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2008-2009 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიშში (საგარიშო კურიოდი 2008 წლის 1 იანვარი – 2009 წლის 31 ივლისი) 14-15 გვ.

იმავე ანგარიშში აღნიშნულია: „იუსტიციისა და სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ერთობლივი საქმიანობის ფარგლებში ამჟამად შემუშავების პროცესში საინფორმაციო ბუკლეტი ადამიანის უფლებათა შესახებ. ეს ბუკლეტი განკუთვნილია პატიმრებისათვის და მთელი რიგ სხვა საკითხებთან ერთად გათვალისწინებულია წამების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული თემატიკა, მათ შორის კომპენსაციის უფლების შესახებ ინფორმაციაც.“

2010 წლის 4 მარტს საიამ №გ-04/152-10 განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, ასევე, საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს. საიამ მოითხოვა შემდეგი ინფორმაცია

1. რა სახის კლიპები დამზადდა ადამიანის უფლებათა თემატიკაზე;
2. რაში გამოიხატებოდა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაში მედიის ჩართვა, რომელ არხებზე გადიოდა ადამიანის უფლებათა თემატიკაზე დამზადებული კლიპები და რა ინტენსივობით;
3. როდის დაიბეჭდება პატიმრებისათვის განკუთვნილი საინფორმაციო ბუკლეტი ადამიანის უფლებათა შესახებ;

2010 წლის 15 მარტის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს №01/23/07-1889 წერილობითი პასუხით მოგვეწოდა პატიმრებისა და მსჯავრდებულთათვის განკუთვნილი საინფორმაციო ბუკლეტი უფლებების თაობაზე. ბუკლეტს აქვს კონვერტის ფორმა და მითითებულია სახალხო დამცველის რეკვიზიტები. თან ახლავს განაცხადის ფორმა სახალხო დამცველის სახელზე. აღნიშნული ბუკლეტი-განაცხადი შევსების შემდეგ იკეცება და შესაძლებელია მისი გაგზავნა სახალხო დამცველთან.

ზემოხსენებულ საპასუხო წერილში ადამიანის უფლებათა თემაზე დამზადებული კლიპების და იმ სატელევიზიო სადგურების თაობაზე, სადაც აღნიშნული კლიპები გადიოდა, არაფერია ნათქვამი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამგვარ აქტივობას ადგილი არ ჰქონია, რითაც იუსტიციის სამინისტრომ არ შეასრულა პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრული პირობები.

თუმცა საინფორმაციო ბუკლეტის დაბეჭდვა მაინც წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა შევაფასოთ. სახალხო დამცველის 2009 წლის მეორე ნახევრის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მიუხედავად წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის რეკომენდაციისა, რომ პატიმრებს სისტემატურად წერილობითი ფორმით მიეწოდებოდეს განახლებული ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ, მათი ინფორმირება თითქმის არ ხდება. მე-8 საპყრობილის საკეთები გამოკრულია ინფორმაცია პატიმრების მოვალეობების (და არა უფლებების) შესახებ.

2008 წლის 12 ივნისის, „საქართველოში წამების, არაპუმანური, სასტიკი ან პატივისა და ლირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2008-2009 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ,“ საქართველოს პრეზიდენტის №301 ბრძანებულების შესაბამისად, უნდა მომხდარიყო კლიპების დამზადება ძირითადი გარანტიების თაობაზე (ადვოკატის ყოლის უფლება, სამედიცინო შემონმებისა და ახლობლებთან დაკავშირების უფლება), თავისუფლებაშეზღუდული პირისათვის მისი სამართლებრივი გარანტიების გაცნობა (სტანდარტული პლაკატების გაკვრა პოლიციის განყოფილებაში და სპეციალური ბუკლეტების დარიგება). აღნიშნული საქმიანობის შესრულებაზე პასუხისმგებელ უწყებად საქართველოს პრეზიდენტის №301 ბრძანებულებით მითითებულია შინაგან საქმეთა სამინისტრო.

2010 წლის 4 მარტს საიამ მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს №გ-04/153-10 განცხადებით, რომლითაც მოითხოვა შემდეგი საჯარო ინფორმაცია:

1. რა სახის კლიპები დამზადდა ადამიანის უფლებათა თემატიკაზე;
2. ზემოთ აღნიშნული კლიპების ელექტრონული ვერსია;
3. პოლიციის განყოფილებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში გაიკრა თუ არა სტანდარტული პლაკატები თავისუფლებადკვეთილი პირების სამართლებრივი გარანტიების თაობაზე;
4. ზემოთ ხსენებული პლაკატების ასლები;
5. რაში გამოიხატება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაში მედიის ჩართვა, რომელ არხებზე გადიოდა ადამიანის უფლებათა თემატიკაზე დამზადებული კლიპები და რა ინტენსივობით.

აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროდან დღემდე წერილობითი პასუხი არ მიგვიღილია. თუმცა 2008-2009 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიშში ამ მიმართულებით შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებულ აქტივობასთან დაკავშირებით აღნიშნულია შემდეგი:

2008 წლის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინციდიტივით და სრული დაფინანსებით განხორციელდა საქართველოს სკოლებში მოსწავლეების ცნობიერების ასამაღლებელი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, პოლიციელებმა საქართველოს ყველა სკოლის მასშტაბით ჩატარეს ინტერაქტიული გაკვეთილები და პრეზენტაციები მოსწავლეებისათვის დანაშაულის მავნებლობაზე, არასრულწლოვანთა დანაშაულთან დაკავშირებულ რისკებზე, პასუხისმგებლობაზე და სხვა.

ცუდი არაფერია იმაში, რომ არასრულწლოვნებში დანაშაულის პრევენციის მიზნით, სკოლებში აღმზრდე-

ლობით საქმიანობას ეწეოდეს პოლიციელი. მაგრამ დანაშაულის მავნებლობას, არასრულწლოვანთა დანაშაულთან დაკავშირებულ რისკებს და პასუხისმგებლობას ნაკლები საერთო აქვს წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის თავიდან აცილების მიზნით თავისუფლებააღვეთილი პირის საპროცესო დაცვის გარანტიებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებასთან. სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიშში მითითებული შსს-ს ზემოხსენებული აქტივობა არ პასუხობს საქართველოს პრეზიდენტის პრძანებულებით განსაზღვრული სამოქმედო გეგმის მიზნებს.

## 5. დასკვნა

ამრიგად, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ წარმოადგინა საქართველოში წამების, არაადამიანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემძახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის ამსახველი დეტალური ანგარიში.

ცხადია, რომ საქართველოს ჯერ კიდევ საქმაოდ დიდი მოცულობის სამუშაო აქვს ჩასატარებელი წამებასა და არაადამიანურ მოპყრობასთან ბრძოლის ეფექტური მექანიზმის შესაქმნელად. განსაკუთრებით პრობლემად რჩება სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისა და სხვა საჯარო მოხელეთა მიერ ჩადენილი წამების და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოძიება და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა.

ასევე, მნიშვნელოვანია, სასჯელალსრულებისა და თავისუფლების აღკვეთის სხვა დაწესებულებებში დაკავებულ პირთა მიმართ მოპყრობის და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი უფლება პატივისა და ღირსების დაცვაზე. პატიმართა ჯანმრთელობის დაცვა, განათლების უფლების რეალიზაცია, გადატვირთულობა სასჯელალსრულების დაწესებულებებში, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, პირადი ცხოვრებისა და ოჯახთან ურთიერთობის უფლების რეალიზაცია, დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულთა ყოფა, ყველა აღნიშნული საკითხი პრობლემად რჩება საქართველოს რეალობაში და საჭიროებს ძირეული ცვლილებების გატარებას სახელმწიფოს მხრიდან.



